ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## დავით ლორთქიფანიძე: „ხანძრები ხელოვნურად ჩნდება“





გვ.4

**7 სექტემბრიდან**



რჩეული ქართული ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

პარასკევი, 8 სექტემბერი, 2017 №213 (7448) ფასი: 50 თეთრი

# ნინო ბურჯანაძე: „სააკაშვილს დავეთანხმე, რომ ვალერი გელაშვილი საცემი იყო“



გვ.7





გვ.2

## „ოცნება“ არჩევნების მოგებას სააკაშვილის დახმარებით აპირებს“

გიგლა ბარამიძე: „შს მინისტრი პირველ მეხანძრედ არ უნდა ვაქციოთ“

## ბიძინა გუჯაბიძე: „ანტიეკლესიური განცხადებებით პარტიები ამომრჩევლების გულს ვერ მოიგებენ“



გვ.3

## პეტრე მამრაძე: „დღეს არ არის ისეთი პიროვნება, რომელიც მასობრივ ნდობას გამოიწვევს“



გვ.3

## ქუმსიშვილი: „ლარის კურსის ცვლილება სეზონური მოვლენაა“



გვ.6

ლადო პაპავა: „ნუ გაგვიკვირდება, რომ ლარი უფასურდება“



გვ.5

## მელორ ვაჩნაძე: „ჯაბა ჯიშკარიანის წარდგენაზე ლევან გოგიჩაიშვილი გვერდზე მედგა და ერთმანეთს არ მივესალმეთ. დაფიქრდით, ბიჭებო, ეს ცხოვრება იმდენად მოკლეა“



გვ.7

## როგორი იქნება პეკინის ქუჩა რეაბილიტაციის შემდეგ?



გვ.3

## სოხუმში რუსი ტურისტი ქალი დაიხრჩო



გვ.4

ISSN 1987-9385

# „ოცნება“ არჩევნების მოგებას სააკაშვილის დახმარებით აპირებს“

## გიგლა ბარამიძე: „შს მინისტრი პირველ მეხანძრედ არ უნდა ვაქციოთ“

შორენა მარსაგიშვილი

გარისკავს თუ არა სააკაშვილი საქართველოში დაბრუნებას, ვინ დგას მის უკან, როგორ დაიბრუნეს ნაციონალებმა ძალაუფლება, რა პროცესები მიმდინარეობს საპატრიარქოში, რაზე უნდა იზრუნოს ეკლესიამ? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტდევნილი **გიგლა ბარამიძე** ესაუბრება.

***– მიხეილ სააკაშვილმა ბრიუსელიდან გააფრთხილა საქართველოსა და უკრაინის ხელისუფლებები, ვბრუნდები და მოემზადეთო. თქვენი აზრით, ის მართლა დაბრუნდება?***

– რისი დამბრუნებელია ან საქართველოში, ან უკრაინაში. ეს ყველაფერი, რაც ხდება, გახლავთ პოლიტიკურად მკვდარი სააკაშვილის რეანიმირების მცდელობა. ამას აკეთებენ მისი იმიჯმეიკერები და რამდენიმე ჭკუასუსტი ამერიკელი პოლიტიკოსი, რომლებსაც ამ საერთაშორისო მაწანწალასთან ბევრი საერთო აქვთ. საქმეში რამდენიმე ევროპელი ჩინოსანიც არის ჩართული. სააკაშვილთან მათაც ბევრი ტკბილმწარე მოგონება აკავშირებთ.

ეს კაცი ერთ დროს საქართველოს პრეზიდენტი იყო და სამწუხაროა, რომ ის მრავალჯერადი გამოყენების ნომრიან აგენტად იქცა, ხან ვინ იყენებს, ხან – ვინ. როდესაც მას მოქალაქეობა ჩამოართვა უკრაინამ, ვთქვი, რომ დაივლიდა ევროპის ქვეყნებს და პიარისთვის მიადგებოდა უკრაინის საზღვარს. ასეც მოხდა, ის რამდენიმე დღეში ალბათ მივა უკრაინის საზღვართან და გვერდით ევროპის სახალხო პარტიის რამდენიმე წარმომადგენელი ეყოლება. ისეთი სურათის დახატვა სურთ, თითქოს ვიღაცა ებრძვის.

სინამდვილეში არავინ ებრძვის და არც ის არავის ებრძვის. კორუფციასთან ბრძოლა თუ უნდოდათ, უკრაინაში არ იყო მთელი თავისი გუნდით? საქმე ვერ გააკეთეს, თავი შეირცხვინეს და იქიდან მელიებივით გაიპარნენ. მე იმ უკრაინელების რა ვთქვი, ვინც მიიჩნევს, რომ მათი ლიდერი სააკაშვილი უნდა იყოს და მან უნდა გაატაროს რეფორმები.



***– მისი მხარდამჭერები საქართველოში აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ უკრაინიდან ის თბილისში ჩამოვა. მან პოროშენკოსთან ერთად ივანიშვილიც გააფრთხილა. ჩვენებური ოპოზიციის ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს წინასაარჩევნო ფანდია, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება გამოიყენებს.***

– სააკაშვილის განცხადებები პოროშენკოსა და ივანიშვილზე არაფერს ნიშნავს. ამით უნდა მთელ მსოფლიოს დაუმტკიცოს, რომ მას რუსი ოლიგარქები ებრძვიან. კი მაგრამ, ახლა გახდნენ ეგენი რუსი ოლიგარქები, წლების განმავლობაში მაგათთან არ თანამშრომლობდა? პეტრო პოროშენკოსთან მაგას აქვს სურათები გადაღებული და ეგენი ეძახდნენ ერთმანეთს დიდ რეფორმატორებს.

შევარდნაძის ხელისუფლება ყოველი არჩევნების წინ იგორ გიორგაძის თემას აქტიურებდა. ზურაბ ჟვანია, ედუარდ შევარდნაძე და მიხეილ სააკაშვილი არჩევნების წინ სულ გიორგაძის მოსალოდნელ დაბრუნებაზე საუბრობდნენ. შემდეგ ასლან აბაშიძის სახელსაც იყენებდნენ, ხალხს ეუბნებოდნენ, მოქალაქეთა კავშირს თუ არ აირჩევთ, ეგენი დაბრუნდებიანო.

ახლაც დაახლოებით ეგეთივე სიტუაციაა, ოღონდ „ქართული ოცნება“ ნაციონალებისა და სააკაშვილის დაბრუნებაზე საუბრობს. აქამდე ეს ხერხი ამართლებდა.

***– ამ არჩევნებზე თუ გაამართლებს?***



– ისეთ ეფექტს არ გამოიღებს, როგორსაც წინა წლებში, მაგრამ ეს ხერხი თვითმმართველობის არჩევნებშიც იმუშავებს. ხალხს მწარედ ახსოვს სისხლიანი რეჟიმი და ნაციონალების დაბრუნების შიშით მზად არიან, ხმა ისევ უუნარო „ქართულ ოცნებას“ მისცენ. „ოცნება“ ამ არჩევნების მოგებასაც მისი დახმარებით აპირებს.

მომდევნო არჩევნებზე ეს მეთოდი აღარ გაამართლებს. საზოგადოება უკვე ამჩნევს, რომ ნაციონალები ხელისუფლებაში ისედაც დაბრუნდნენ.

***– დაბრუნებაში რას გულისხმობთ?***

– პარლამენტში ეგენი არიან, მთავრობაშიც მაგათ ნიშნავენ, ბიზნესსაც ისევ ეგენი აკონტროლებენ და ტელევიზიების დიდ ნაწილსაც. ხელისუფლებაში არიან, აბა, რა არიან. სააკაშვილის გარდა, ფაქტობრივად, ყველა თავის ადგილზეა. თუ ნაციონალების სისხლიან რეჟიმთან ბრძოლის მთავარი მიზანი მისი საქართველოდან განდევნა იყო, თავიდანვე ეთქვათ.

მთელი უბედურება ის არის, რომ „ოცნებას“ მხოლოდ მისი განდევნა სურდა და არა გასამართლება. მის გასასამართლებლად უამრავი მიზეზი არსებობდა, ამ ადამიანს უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი, მაგრამ ესენი 5 პიჯაკსა და 2 პალტოზე არ ჩამოვიდნენ.

მისი ექსტრადირება რომ არ სურთ, ეს უკვე ნათელია. ხელისუფლებისგან ძალიან ბევრი ტყუილი ისმის. ახლაც თქვეს, რომ უკრაინის პროკურატურას მიმართეს, რომ თუ სააკაშვილი იქ დაბრუნდება, მოხდეს საქართველოში მისი ექსტრადირება. რადიო „თავისუფლების“ ცნობით კი, რომელიც უკრაინის გენერალური პროკურატურის ოფიციალურ განცხადებას ეყრდნობა, საქართველოდან უკრაინაში 2017 წელს არ შესულა არანაირი მოთხოვნა ექსპრეზიდენტ სააკაშვილის საქართველოში ექსტრადირების შესახებ. ამ საკითხზე „ქართული ოცნება“ არც ევროპასთან მუშაობს.

***– ევროპიდან უფრო ძნელი არ იქნება მისი ექსტრადირება? იქ მას ბევრი გავლენიანი ნაცნობი ჰყავს.***

– მას ევროპაში ის პოლიტიკოსები უჭერენ მხარს, ვისთანაც კუდი აქვს გადაბმული და ბევრი ტკბილ-მწარე მოგონება აკავშირებს. ევროპაში ნაცნობებით თავს მოქმედი ხელისუფლებაც მატრაკვეცობს. პრემიერი ლამის ყველა თავის გამოსვლას ასე იწყებს, ჩვენმა ევროპელმა და ამერიკელმა მეგობრებმა.... თქვე დალოცვილებო, თუ ამდენი მეგობარი გყავთ დასავლეთში, როგორ მოხდა, რომ ძებნილმა ადამიანმა მთელი ევროპა და ამერიკა მოიარა, თან ჩუმად, ბიბლიოთეკებში კი არ დადის, რესტორნებსა და დისკოთეკებს არის მოდებული.

ერთხელ მაინც რატომ არ იკითხეს, რომ ძებნილ კაცს, რომელიც თავისუფლად გადაადგილდება და ცნობადი სახეა, მეგობარი ქვეყანა რატომ არ აკავებს? იცით, რატომ არ აკავებენ? საქართველოს ხელისუფლება არ ითხოვს. მისი დაკავება არ სჭირდებათ.

***– მოთხოვნის შემთხვევაში მოახდენდა რომელიმე მეგობარი ქვეყანა მის ექსტრადირებას?***

– ვერ გეტყვით. საქართველო ევროპული ცივილიზაციის ნაწილია, მაგრამ ვინ თქვა, რომ იქ არ არიან გამყიდველი და ტკბილი ცხოვრების მოყვარული ჩინოვნიკები. ასეთები მრავლად არიან. ხუთმაგი სტანდარტები ევროპელი პოლიტიკოსების დამახასიათებელი თვისებაა და ბევრ ჩინოვნიკს გამოუვლენია ის საქართველოს მიმართ.

მათთვის რომ გეკითხათ, დიდად აინტერესებდათ, საქართველოში რამდენად დემოკრატიულად ჩატარდებოდა საპარლამენტო არჩევნები. არჩევნების დღეს ეუთოს დამკვირვებელი ქალი ფეხქვეშ გაიგდეს და, რაც სიგრძე ჰქონდა, ის სიგანე მისცეს. ის მაშინვე წავიდა საქართველოდან და ამას დიდი სკანდალი უნდა მოჰყოლოდა. 2 დღეში ეს ქალი საქართველოში დაბრუნდა და იმ ინციდენტზე ხმაც კი არ ამოუღია. ისე იყო ხელისუფლებისგან მოთაფლულ-მოფერებული, სულ იმას გაიძახოდა, ეს რა დემოკრატიულად ჩატარდა არჩევნებიო.

იმ დამოუკიდებელი ქვეყნის რა ვთქვი, რომელსაც მის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნების ტანკების ხრიგინი უხარია. ასევე რა ვთქვი იმ ქვეყნის, რომელსაც კონსტიტუციას რომელიღაც არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარე უწუნებს და უწონებს. ამ შემთხვევაში ჯანი ბუკიკიო მყავს მხედველობაში.

ეგ ის ბუკიკიო არ არის, სააკაშვილის მიერ მიღებულ არჩევნებსა და კონსტიტუციას რომ იწონებდა? არაფერი შეცვლილა. რაც მაშინ იყო, იგივე ბუკიკიოა ახლაც. მოეფერნენ და გაიტრუნა. ისევ სააკაშვილსა და იმ განცხადებებს ვუბრუნდები, რომ თურმე მის გვერდით ევროპელი პოლიტიკოსები დადგებიან. მის გვერდით დადგებიან გაყიდული ჩინოსნები. ასეთები ევროპაში მრავლად არიან.

ეს ხალხი მართლა დადგება სააკაშვილის გვერდით, მაგრამ ამან ჩვენი ამომრჩეველი შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს. მას მხარს ევროპა კი არა, ის პოლიტიკოსები უჭერენ, ვისთან ერთადაც ამ წლების განმავლობაში ძალიან ტკბილად ცხოვრობდა. ევროპის მხარდაჭერაზე მან საკუთარი ბებია და თურქული კოლეჯის ლობისტი დედა მოატყუოს. და კიდევ თავის ორად გახლეჩილ პარტიას მიხედოს, რომლებიც ერთმანეთის გინებაში არიან.

***– ამბობენ, რომ პარტიის ორად გახლეჩაც დადგმული სპექტაკლია.***

– არაფერს აღარ გამოვრიცხავ, მაგრამ ახლა დილიდან დაღამებამდე ერთმანეთის გინებაში არიან. ნაციონალური მოძრაობისა და „ევროპული საქართველოს“ წევრი ქალები ქალებს აგინებენ, კაცები – კაცებს.

ძალიან მიჭირს იმის დაჯერება, რომ ამ კაცს საქართველოში კიდევ ვინმე უჭერს მხარს. კაცი 2 ვადით იყო ქვეყნის პრეზიდენტი და იმისთვის, რომ თანამდებობა მიეღო, საქართველოს მოქალაქეობაზე უარი თქვა. ამაზე დიდი სირცხვილი რა უნდა იყოს. იმაზე აღარაფერს ვამბობ, 2008 წელს გორში როგორ ხოხავდა. მოვა დრო და მთელი მსოფლიო დაგვცინებს იმის გამო, რომ ასეთი კაცი ორჯერ ავირჩიეთ პრეზიდენტად.

დაცინვაზე მეტი იყო, როცა საზეიმო ვითარებაში დაარიგა ერთ-ერთი ქვეყნის საელჩომ ცეცხლგამძლე ჩექმები. იმის მაგივრად, რომ ცეცხლთან ბრძოლაში დაგვხმარებოდნენ, ჩექმები გვაჩუქეს. ჩვენს ხელისუფლებას ცოტა ღირსეულად რომ დაეჭირა თავი, ამდენს არ გვაკადრებდნენ. მესამეხარისხოვან ქვეყანად რომ გვთვლიან და კოლონიასავით გვექცევიან, ყველამ იცის, მაგრამ ჩვენ როდემდე უნდა დავისვათ ყველა თავზე და როდემდე უნდა გავითახსიროთ თავი.

რადგან ხანძრების თემა ვახსენე, აუცილებლად უნდა შევეხო შინაგან საქმეთა მინისტრსაც. მისი პირველ მეხანძრედ გადაქცევა დაუშვებელია.

***– ხანძრების ჩაქრობას ვიღაცამ ხომ უნდა უხელმძღვანელოს?***

– მოქმედი შს მინისტრი, თავის სისხლიან წინამორბედებთან შედარებით, სიმპათიურად გამოიყურება და დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ, ხანძრების გარდა, საქართველოში სხვა რაღაცებიც ხდება. მივმართავ მღებრიშვილს, ამას მიხედე და მთლად მთავარი მეხანძრე ნუ გახდები.

ამით მას ღვაწლსა და თავდადებას კი არ ვუწუნებ, მაგრამ არ შეიძლება, შს მინისტრი ხანძრების ჩასაქრობად დარბოდეს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ სტრუქტურების ფუნქციები არეულია. ორი სამსახურია შექმნილი იმისთვის, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში იმოქმედოს.

ხვალ სეტყვის საშიშროების წინაშე რომ დავდგეთ, სეტყვის საწინააღმდეგო რაკეტებთან უნდა დავაყენოთ მღებრიშვილი? ყველაფერზე თუ შს მინისტრმა ირბინა, ყაჩაღებსა და ნარკომოვაჭრეებს ვინ მიხედავს? ქაოსი მეტი კი არაფერია.

არსებულ მძიმე ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს ციანიდის სკანდალი. ამ საქმემ ბევრი ცუდი ფაქტი გამოავლინა და, რაც ყველაზე ცუდია, მოხდა ეკლესიის ავტორიტეტის შერყევა. ამაზე ათწლეულები მუშაობდნენ სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურები და მათ მიერ დაფინანსებული არასამთავრობოები.

ბევრი მცდელობის მიუხედავად, ეკლესია თავის ავტორიტეტს ინარჩუნებდა, კომუნისტების დროსაც კი არ შერყეულა მისი სიძლიერე ისე, როგორც ეს ციანიდის სკანდალმა გააკეთა. სამწუხაროა, რომ ეს ყველაფერი „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს მოხდა.

***– ბევრი მიიჩნევს, რომ ციანიდის სკანდალი დროებითია და ის ეკლესიის ავტორიტეტს ვერაფერს დააკლებს.***

– რაც არ უნდა ვიძახოთ, რომ ეს ქართული ეკლესიის ავტორიტეტს ვერ დააზიანებს, ციანიდის საქმემ ლახვარი ჩასცა ზურგში ქართულ ეკლესიას. სინოდმა, მთელმა სამღვდელოებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ საზოგადოებაში არსებული მკვეთრად უარყოფითი განწყობა შეიცვალოს.

როგორც ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლმა, ზოგიერთ სასულიერო პირს მინდა შევახსენო, რომ მართლმადიდებლობის პრივატიზების უფლება არავის აქვს.

***– ამით რის თქმა გინდათ, ვიღაც ცდილობს მართლმადიდებლობის პრივატიზებას?***

– ახლა ფრჩხილების გახსნას არ ვაპირებ, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მართლმადიდებლობა არავისი საკუთრება არაა, მათ შორის არც საპატრიარქოსი. ის მის უდიდებულესობა ქართველ ერს ეკუთვნის. ამიტომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ეკლესიას ჩირქი არ მოეცხოს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 2-94-02-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 2–94-06-91
**ვებ-გვერდი** www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# პეტრე მამრაძე: „დღეს არ არის ისეთი პიროვნება, რომელიც მასობრივ ნდობას გამოიწვევს“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი **პეტრე მამრაძე** „ახალ თაობასთან“ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე პარტიების შანსებს აანალიზებს.

***— ბატონო პეტრე, პარტიები უკვე ჩაერთვნენ წინასაარჩევნო მარათონში. თქვენ როგორ აფასებთ მათ შანსებს?***

— ამ ეტაპზე შანსი, გარდა მმართველი პარტიისა, არცერთ ჯგუფს არ აქვს. საქართველოში არ არსებობს პოლიტიკური პარტიები.

***— ნაციონალებს არ აქვთ შანსი?***

— არანაირი.

***— აბა, დიდი ზარ-ზეიმით რომ ემზადებიან?***

— ამ ეტაპზე ნაცმოძრაობის ბოკერია-უგულავას ფრთა და ნაცების მეორე ფრთა, ერთად აღებული, 7-10%-ს მიიღებს. ბოკერიას დაჯგუფებაც და მეორე ფრთაც ჩემთვის ნაცმოძრაობაა და მეტი არაფერი.

ამიტომ ამ ეტაპზე, როდესაც ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსი მთლიანად წყვეტს შედეგს, გარდა „ოცნებისა“, არცერთ პარტიას არ აქვს შანსი.

***— რა აძლევს ნაცმოძრაობის ცალკეულ წარმომადგენლობებს ძალას, ბნელი წარსულის ფონზე, რომ რიხიანად გამოდიოდნენ და საარჩევნო კამპანიას ატარებდნენ? ფული მათაც არ აკლიათ.***

— ნაცმოძრაობის ნარჩენებს უნდათ აჩვენონ, მათ შორის დასავლეთში ძველ კონტაქტებს, რომ ისინი ჯერ კიდევ ძლიერები არიან. მოგეხსენებათ, დასავლეთში ლობირებაზე მილიონებია დახარჯული და პირადი კონტაქტები ნამდვილად აქვთ როგორც ევროპარლამენტში, ისე შეერთებულ შტატებში. ეს არ არის დიდი კონტაქტები, გავლენიანი წრეები, მაგრამ კონტაქტები აქვთ და უნდათ მათ უჩვენონ, რომ რჩებიან პოლიტიკურ და თანაც ერთადერთ პროდასავლურ ძალად.

***— მეორე ძალა იქნებიან?***

— ასე უნდათ.

***— თქვენ აცხადებთ, რომ დღეს გამარჯვების გარანტიაა სახელისუფლებო და ფულადი რესურსი. კალაძეს არ აქვს გამარჯვების შანსი, თუ რესურსებს ჩავხსნით?***

— რთული სათქმელია, იმიტომ რომ „ოცნება“ მთლიანად აკონტროლებს ტელევიზიებს, რუსთავი 2-ის გარდა.

***— ფიქრობთ, რომ „ობიექტივსაც“ აკონტროლებს?***

— „ობიექტივს“ შედარებით ცოტა უყურებს.

***— დღეს ძნელია ინფორმაციის დამალვა. ტელევიზიებს თავი რომ დავანებოთ, გაზეთებია, უამრავი სააგენტოა, ფეისბუქია.***

— საქმეც ეს არის. რამ განაპირობა ბერლუსკონისა და სხვების გამარჯვება? ზღვა ინფორმაციებში ადამიანებს, განსაკუთრებით მათ, ვინც არ არიან პოლიტოლოგები (90%-ზე მეტს), ძალიან უჭირთ სწორი ინფორმაციის მიღება. ამ ფონზე ტელევიზიის სურათი დომინირებს.



***— გინდათ თქვათ, რომ პიარი ყველაფერს წყვეტს?***

— პიარი შველის ჩვეულებრივ ვითარებაში. როცა ხალხის მღელვარება აღწევს უმაღლეს დონეს, მაშინ არავითარი პიარი არ შველის. 2012 წელს საარჩევნო კამპანიის დროს სააკაშვილი და ნაცისტები ფლობდნენ ყველაფერს, მთელ ტელევიზიებს, მაგრამ ხალხის გალიზიანებამ იმ დონეს მიაღწია, რომ სააკაშვილს ვერ უშველა ვერც ტელევიზიამ და ვერც რეპრესიულმა აპარატმა — ვერც მერაბიშვილმა, ვერც ადეიშვილმა, ვერც უშიშროებამ და პროკურატურამ. თუმცა ყველაფერი მის ხელში იყო. განსაკუთრებით ციხის კადრების შემდეგ (ეს იყო გადამწყვეტი) ხალხი გავიდა ქუჩაში. იყო პიროვნება, რომელიც ხალხში მასობრივ ნდობას იწვევდა და საკითხი გადაწყდა.

ბერლუსკონის საოცარი ბიოგრაფია ტელემაგნატობით არის განპირობებული. იტალიელი ინტელიგენტები მეუბნებოდნენ, ეს რა ჭირია, რომ ვერ იშორებს ჩვენი საზოგადოება, კარიდან გააგდებ, ფანჯრიდან შემოვა და ისევ პოლიტიკაში რჩებაო. თუმცა, საბოლოოდ დადგა ის მომენტი, როცა უკვე ტელემაგნატობამაც არ უშველა.

„ოცნება“ იმ ფაზაშია, მას რეალური ნდობა და სიმპათია ხალხის მხრიდან აღარ აქვს, გულით ნაკარნახევი ხმებით წააგეს, მაგრამ, სამაგიეროდ, ადმინისტრაციული რესურსითა და ფულით ნაყიდი ხმები ჯერ მუშაობს. ჯერ ხალხის გაღიზიანება ისეთი არ არის, რომ 200 ათასი კაცი ქუჩაში გამოვიდეს თბილისში და კიდევ 200 ათასი რეგიონებიდან დაემატოს.

***— დღეს ვინც მონაწილეობს საარჩევნო მარათონში, მათზე რას იტყვით?***

— არ მინდა, ვინმეს ვაწყენინო, მაგრამ დღეს არ არის ისეთი პიროვნება, რომელიც მასობრივად იწვევდეს საქართველოში, მათ შორის, თბილისში, საჭირო ნდობას და იმდენად დამაჯერებელი იყოს, ხალხი ფიქრობდეს ისე, როგორც ფიქრობდა 2012 წელს ივანიშვილზე, როგორც ფიქრობდა 2003-4 წლებში სააკაშვილზე, ამას მივცემთ ხმას, გვეშველება, საქმეს გააკეთებსო.

ასეთი ნდობის კლასიკური მაგალითია 2012 წელს მომხდარი ფაქტი, რაზეც უცხოელები მესაუბრნენ. როდესაც სააკაშვილი-მერაბიშვილი-ადეიშვილი ერთად აკოტრებდნენ ივანიშვილის ბანკ „ქართუს“, უცხოელმა დიპლომატებმა დაინახეს დიდი რიგი ბანკ „ქართუსთან“. ყველას ეგონა, რომ მოსახლეობა მივიდა თავისი დანაზოგის გამოსატანად, ვინაიდან, როცა ბანკი კოტრდება, ასე ხდება მთელ მსოფლიოში. როცა უცხოელებმა აღმოაჩინეს, რომ ხალხი მივიდა იმისათვის, ზოგს თავისი ბოლო 20 ლარი შეეტანა ივანიშვილის ბანკში, ეს იყო ნამდვილი ენთუზიაზმი. როცა კარნახი არ სჭირდება ადამიანს, აგიტაციით ვერ გააჩერებ.

მე დღესაც ყველა დონეზე პატივს ვცემ ივანიშვილს. ის ყველაზე დიდი ქველმოქმედია და 2012 წელს გადაგვარჩინა.

# ბიძინა გუჯაბიძე: „ანტიეკლესიური განცხადებებით პარტიები ამომრჩევლების გულს ვერ მოიგებენ“

მარიამ მჭედლიშვილი

მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, ყოფილ დეპუტატ **ბიძინა გუჯაბიძეს.**

***— ახლოვდება ადგილობრივი არჩევნები, თუმცა პარტიების სხვადასხვა აქტივობა იმ თემებს უფრო უკავშირდება, რომლებსაც ადგილობრივ თვითმმართველობასთან შეხება არ გააჩნია. რისი ბრალია ეს — ადგილობრივი არჩევნები პრიორიტეტული არ არის თუ ასეთი ვითარებაა ქვეყანაში შექმნილი? პოლიტიკური ძალებისთვის ერთ-ერთი მთავარი თემა კონსტიტუციაა.***

— ოპოზიცია ყველა თემას სათავისოდ იყენებს, მათ შორის, კონსტიტუციასაც. ოპოზიციურ პარტიებს დიდი ამბავი აქვთ ატეხილი იმაზე, რომ შეთანხმება კონსტიტუციაზე ვერ შედგა. ამაში რომ ბრალი მიუძღვით, ამას არ ახსენებენ. კონსტიტუციის არსებულ პროექტში ბევრი ცვლილება შევიდა, მათ შორის, უმეტესობა პოლიტიკურ ძალებთან შეთანხმებული იყო. საპარლამენტო უმრავლესობა ოპოზიციის ყველა მოთხოვნასა და ულტიმატუმს ვერ გაითვალისწინებდა. ქვეყნის მართვა ოპოზიციის გუნება-განწყობის მიხედვით ვერ განხორციელდება. ვინც ფიქრობს, რომ ოპოზიციის ყველა ინიციატივა სრულყოფილი და ქვეყნისთვის სასიკეთოა, „ქართულ ოცნებას“ კი ქვეყნისთვის ცუდი კონსტიტუცია უნდა, ძალიან ცდება. ოპოზიციას ხელისუფლებაში მოსვლა უნდა და ამისთვის იბრძვის. ქვეყანაში არსებული დემოკრატიული გარემო ოპოზიციას მოქმედებებისათვის სრულ თავისუფლებასა და ასპარეზს აძლევს. ოპოზიცია არ იზღუდება.



***— ოპოზიცია ასე არ თვლის. პარტიები მიიჩნევენ, რომ საარჩევნო კანონმდებლობა და კონსტიტუციის არსებული პროექტი ზღუდავს ოპოზიციურ პარტიებს და მათ პარლამენტში მოხვედრის შესაძლებლობას უსპობს.***

— ოპოზიციის არსი იმაშია, რომ ყველაფრით უკმაყოფილო იყოს. ახლანდელი მდგომარეობა წინა რეჟიმთან შესადარებელიც არ არის. პარტიების უფლებები დღეს დაცულია. კონსტიტუციის პროექტზე ბევრჯერ გაიმართა შეხვედრები და დიალოგი.

***— მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანია ზოგიერთმა პარტიამ რელიგიის თემასაც კი დაუკავშირა. მაგალითად, რესპუბლიკელები აცხადებენ, რომ სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიის დაფინანსების საკითხი მათთვის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვისაც აქტუალურია. ისინი მიიჩნევენ, რომ ასეთი დაფინანსება გაუმართლებელია.***

— მართლაც, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები არ უნდა იყოს დაკავშირებული რელიგიურ თემებთან. ეტყობა, პარტიები თემატიკის სიმწირეს განიცდიან, რომ ეს საკითხი ამ დროს დასვეს. როგორც ჩანს, ეს მათთვის არის აქტუალური, თორემ საზოგადოებისთვის არ არის პრობლემა. ხალხი ეკლესიის დაფინანსებას არ ეწინააღმდეგება. ანტიეკლესიური განცხადებებით პარტიები ამომრჩევლების გულს ვერ მოიგებენ. რესპუბლიკელების მხრიდან ეს არასწორად შერჩეული თემაა და ეს მათ შედეგებსა და რეიტინგის დათვლისას გამოჩნდება. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კონკორდატია გაფორმებული. ხელისუფლება მოქმედებს ამის და არა თავისი სურვილების შესაბამისად. საბჭოთა რეჟიმმა ეკლესიას დიდი ზარალი მიაყენა და სახელმწიფო ამის გამოსწორების მიზნით შეძლებისდაგვარად, ნაწილ-ნაწილ უხდის გარკვეულ კომპენსაციას ეკლესიას. კონკორდატში აღნიშნულია ეკლესიის როლი ქვეყნის ისტორიაში. თუ რესპუბლიკური პარტია კონკორდატის წინააღმდეგია, პარლამენტის უმრავლესობასა და ხელისუფლებაში რომ იყო, მაშინ რატომ არ გამოხატა ეს პოზიცია?

***— როცა ერთ კოალიციაში იყავით გაერთიანებული, რესპუბლიკელებს ასეთი პოზიცია არ ჰქონიათ?***

— არ ჰქონიათ. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი კონიუნქტურის მიხედვით მოქმედებენ. ასეთი იდეოლოგია თუ ჰქონდათ, მაშინაც ახლანდელი პოზიცია უნდა გამოეხატათ.

***— აღნიშნეთ, რომ საზოგადოება რესპუბლიკელებს ამ საკითხში არ ეთანხმება. თქვენი დაკვირვებით, რესპუბლიკელების მსგავსი პოზიციების გაძლიერება ხომ არ შეინიშნება ხალხში?***

— არა. უბრალოდ, საზოგადოების მცირე ნაწილში დაისადგურა სკეპტიციზმმა. ის გამოიწვია ბოლო დროს საპატრიარქოში განვითარებულმა მოვლენებმა. ადამიანების ნაწილს არ მოსწონს, რომ ზოგიერთი მეუფე ფუფუნებაში ცხოვრობს და სააკაშვილის მიერ ნაჩუქარი უძვირფასესი ჯიპით დადის. როგორც ვიცი, სახელმწიფოსგან მიღებული ფული ეკლესიაში მიზნობრივად იხარჯება. რესპუბლიკური პარტია ხარჯვის მიზნობრიობაზე კი არ სვამს შეკითხვებს, არამედ, ეკლესიის წინააღმდეგ გამოდის. ამასწინათ გაზეთში წავიკითხე რესპუბლიკური პარტიის ერთი წევრის მოსაზრება. ის გამოთქვამს აზრს, თითქოს ქრისტიანობამ თავისი დრო მოჭამა. ეს ღვთის გმობაა. ამის უარყოფა არ მომისმენია სხვა რესპუბლიკელებისაგან, რაც თანხმობის ნიშანია.

***— ამ არჩევნების წინ ისევ აქტუალურია სააკაშვილის საკითხი.***

— მის წინააღმდეგ რამდენიმე საქმის გამოძიება მიმდინარეობს. რაც არ უნდა ბევრი იხმაუროს, სააკაშვილს ჩადენილი აქვს დანაშაულები და ამის გამო ის არის დევნილი. საქართველოში იგი ვერ ბრუნდება. ყოფილი პრეზიდენტი უკრაინაში შეღწევას ცდილობს. სააკაშვილის აქტიურობა ამ მიმართულებით აწყობს ყველას, ვისაც უკრაინაში არეულობა უნდა, მათ შორის, რუსეთს.

***— მისი დევნა არჩევნების წინ ძლიერდება.***

— სააკაშვილის დევნა არ შეწყვეტილა. ამჟამად იგი თვითონ არის გააქტიურებული და აპელირებს იმ თემებით, რომლებიც ხელს აძლევს. ყოფილ პრეზიდენტს აქტიურობა თითქმის არ შეუჩერებია, თუ არ ჩავთვლით მცირე პაუზას. მაშინ, ეტყობა, თანხებს ვერ მოუყარა თავი. სააკაშვილს დიდი ფული აქვს დაგროვილი. ეს ფული მას ხელზე არ გააჩნია. სააკაშვილის მოლარე და ბანკირი დავით კეზერაშვილია. მის პოლიტიკურ აქტიურობას კეზერაშვილის მიერ მობილიზებული თანხები უზრუნველყოფს.

# როგორი იქნება პეკინის ქუჩა რეაბილიტაციის შემდეგ?

თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი გივი კუბლაშვილი განმარტავს, რა სახის იქნება პეკინის ქუჩა რეაბილიტაციის შემდეგ. კერძოდ, როგორც კუბლაშვილმა „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „დღის თემა“ განაცხადა, რეაბილიტაციის შემდეგ პეკინის ქუჩაზე მოეწყობა ველობილიკები, ავტობუსის ახალი გაჩერებები, ახალი ტროტუარები და ა.შ.

— გზის სავალი ნაწილი თითქმის დასრულებულია, 100-მეტრიანი მონაკვეთი დარჩა და დილისთვის დასრულდება ეს სამუშაოები. სრულად ვართ გადართული ტროტუარების კეთებაზე. მარცხენა მხარეს დღეს ეს სამუშაოებიც დასრულდება და უკვე შშმ პირების გადასასვლელის სამუშაოებს დავიწყებთ, რისთვისაც სამი-ოთხი დღე დაგვჭირდება. პარალელურად გაგრძელდება მარჯვენა მხარეს ტროტუარების მოწყობა. თავდაპირველად მოეწყობა

ავტობუსის გაჩერებები, დასრულდება ტროტუარის მშენებლობა და შემდეგ დაიგება წითელი ასფალტი, რომელიც იქნება განკუთვნილი ველოსიპედით გადაადგილებისთვის. მოეწყობა ორმხრივი ველობილიკი, ასევე მოეწყობა ავტობუსის ხაზები, რომელსაც დაახლოებით ათი დღის ვადაში დახაზავს ტრანსპორტის საქალაქო სამსახური. ამის შემდეგ სრულად იქნება საშუალება აღდგეს მოძრაობა. ამ გზის რეაბილიტაცია ბოლოს 1953-1955 წლებში მოხდა, დიდი სამუშაოები გასწია GWP-მ. მთლიანად შეიცვალა 400-იანი და 160-იანი წყლის მილები და სანაცია მოხდა 1000-იან მილზე. დაახლოებით 400-მეტრიანი კანალიზაციის გვირაბის რეაბილიტაცია მოხდა, ძირითადი სირთულის სწორედ ეს სამუშაოები იყო. მასთან, ჩვენ მოვაწყობთ თანამედროვე ტიპის, შშმ პირებისთვის გადასასვლელებს, ასევე ავტობუსის გაჩერებებზეც იქნება იგივე მოწყობილი, გაკეთდება ახალი გაჩერებები. ხეების ირგვლივ მოეწყო ახალი ცხაურები და წყლის დამცლელები დამონტაჟდა. გამწვანების სამსახური გააგრძელებს მუშაობას, დაიდგმება ყვავილების ქოთნები და სკამები. შეიძლება ითქვას, მოქალაქეები სრულიად ახალ პეკინის ქუჩას მიიღებენ, — განაცხადა კუბლაშვილმა.



**ბიპიენი**

# დავით ლორთქიფანიძე: „ხანძრები ხელოვნურად ჩნდება“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი, „ქართული ოცნების“ წევრი **დავით ლორთქიფანიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაცმოძრაობას დივერსიის მომწყობს უწოდებს.

***– ბატონო დავით, თქვენი შეფასებით, ქვეყანა როგორ ცხოვრობს? როგორი ვითარებაა შექმნილი ბოლო პერიოდში გაჩენილი ხანძრების ფონზე?***

– სიმართლე გითხრათ, არაორდინარული სიტუაციაა. მუდმივად ახალ-ახალი ხანძრის კერების წარმოშობა მძიმედ მოქმედებს ქვეყანაზე, მათ შორის, ეკონომიკასა და ბუნებაზე. ასობით ჰექტარი გადამწვარი ტყე სერიოზული დარტყმაა ქვეყნისთვის და არ შეუწყობს ხელს ტურისტული პოტენციალის გაზრდას. ამის გამო ტურისტების მოძრაობა შეფერხდა კიდეც, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ყველაფერი დალაგდება, ხანძრის კერები გაქრება.

ტყეებში გაჩენილი ხანძრები საქართველოსთვის კარგი საჩუქარი არ იყო. პატარა ბავშვი არ ვარ და არ მახსოვს, ოდესმე ასეთი ხანძრები ყოფილიყო. ვფიქრობ, ხანძრები ხელოვნურად ჩნდებოდა. არ გამოვრიცხავ, დივერსიის შემადგენელი ნაწილიც იყოს. საჭიროა, სახელმწიფომ დროულად გამოიძიოს და დროულად გაარკვიოს ყველა საეჭვო ქმედება. ანტისახელმწიფოებრივი ქმედებისთვის დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ.

***– დივერსიაში შეიძლება მონაწილეობდნენ შიდა ძალები თუ გარედან ხორციელდებოდეს დივერსიული ქმედებები? გამოითქვა გარკვეული მოსაზრებები ამ მხრივ რუსეთის შესაძლებლობების შესახებ.***

– ამ შემთხვევაში არ მინდა დასახელება, ვინ შეიძლება იყოს დივერსიის მომწყობი, მაგრამ ფაქტია, რომ გარე თუ შიდა მტრებს საქართველოსთვის სიკეთე არ უნდათ.

***– შიდა მტრებს?***

– დიახ, ასეთი ძალები ბევრნი არიან, მათ შორის, შიგნითაც. მე ვხედავ მათ შეთანხმებულ მოქმედებას.



***– თქვენი ინფორმაციით, გამოძიება დივერსიის ვერსიაზე მუშაობს?***

– ჩემი ინფორმაციით, გამოძიება მუშაობს დივერსიის ვერსიაზე. ამასთან დაკავშირებით ადამიანები დაკითხულები არიან.

***– ეჭვმიტანილები ჰყავთ?***

– გამოკითხულები რომ ჰყავთ, ვიცი. გამოკითხულია არაერთი ადამიანი. რამდენად მოხდება მათ მიმართ კვალიფიკაციის შეცვლა, არ ვიცი.

***– გამოძიება რომ მივიდეს დასკვნამდე, რომ დივერსია ხორციელდებოდა ჩვენი მტრის, ვთქვათ, რუსეთის მხრიდან, ამის თაობაზე საქართველოს მთავრობა ხმამაღლა განაცხადებს? მითხრეს, ასე რომც იყოს, ხელისუფლება არ განაცხადებსო.***

– არავითარ შემთხვევაში, ხელისუფლება არავის ხელს არ დააფარებს, ფიზიკური პირი იქნება თუ სხვა. ხელისუფლებამ ხელი რატომ უნდა დააფაროს, თუკი ის ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მზაკვრულ, დანაშაულებრივ საქმიანობას ეწევა. თუკი გამოიკვეთება დამნაშავე, განაცხადებს. წინასწარ, აპრიორი განცხადების გაკეთება საჭირო არ არის. ამ ქვეყანას ბევრი შიდა მტერი ჰყავს. არავითარი ხელის დაფარება საშინაო თუ საგარეო მტერზე არ იქნება.

***– საშინაო მტერში ვის გულისხმობთ?***

– ე.წ. პოლიტიკურ ძალებს, რომლებსაც წლების განმავლობაში ბოროტების გარდა არაფერი სიკეთე არ გაუკეთებიათ, ახლაც ცდილობენ საზოგადოების შეცდომაში შეყვანით ისევ ხელისუფლებაში მოსვლას.

***– ამ სიტუაციაში მათ ხელს აძლევთ ხანძრების გაჩენა და ტყეების გადაწვა?***

– მათ ხელს აძლევთ, მომზადდეს მსუყე ნიადაგი მათთვის. ისინი საზოგადოებას ეუბნებიან, რომ ხელისუფლებას არ შეუძლია, გამოწვევებს გაუმკლავდეს, ხელისუფლება არის უნიათო და უმოქმედო. ცდილობენ, საზოგადოებაში დაამკვიდრონ აზრი, რომ ამ ხელისუფლების პირობებში მათი ხსნა არ არის.

***– ანუ ისევ ნაცმოძრაობა რომ არჩიოს ამომრჩეველმა, „ოცნებას“ ისევ ნაცმოძრაობა სჯობიაო, რომ თქვას?***

– დიახ. დარწმუნებული ვარ, ნაცმოძრაობის ხელისუფლების პირობებში ანალოგიური ფაქტები რომ მომხდარიყო, ასეულობით ადამიანი იქნებოდა დაპატიმრებული დივერსიის მოწყობის ბრალდებით და ციხეებში შეყრილი უდანაშაულოდ, არჩადენილი დანაშაულისთვის, რომ ყველაფერი გადაეფარათ.

***– შეიძლება თქვენ მიერ ხსენებული შიდა მტრები და გარე მტრები, ვთქვათ, რუსეთის სახით, ამ საკითხში გაერთიანებული იყვნენ?***

– მოდით, ცეცხლის კერებთან დაკავშირებით ნარატივს რუსეთის მიმართ ნუ ვიგულისხმებთ. მე ვლაპარაკობ მტრებზე, მტერი შეიძლება იყოს ნებისმიერი არაკეთილმოსურნე სახელმწიფო. შიგნით კი პოლიტიკურად, ფიზიკურად ხელისუფლებასთან დაპირისპირებული ძალა. შიდა და გარე მტრების ინტერესების თანხვედრა აბსოლუტურად მოსალოდნელიაო, არ ვიტყვი, მაგრამ მაქვს განცდა, რომ ამდენი ცეცხლი და დავიდარაბა შემთხვევით არ ხდება. სპეციალურად, ხელოვნურად და ადამიანის ჩარევით ჩნდება ხანძრები დივერსიული ჩარევითა და დივერსიული აქტებით. საქართველოს ფლორასა და ფაუნას წვავენ.

***– როცა ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ ძალებზე ლაპარაკობთ და დივერსიას უკავშირებთ, პირველ რიგში, ნაცმოძრაობას გულისხმობთ...***

– რა თქმა უნდა.

***– და მათგან ასეთ დივერსიებს ელოდებით?***

– ისინი არ მალავენ, ამბობენ, ჯოჯოხეთს მოგიწყობთ, ცხელი ზაფხული იქნებაო. პოლიტიკურმა ძალამ მეტი რა უნდა დაგიანონსოს, გეუბნება, ცხელი ზაფხული იქნება და ჯოჯოხეთს მოგიწყობთო. მათ ეს განაცხადეს. მხოლოდ ისინი არ არიან, ასე ამბობენ მათი განაყოფები და თანამოაზრეები.



# სოხუმში რუსი ტურისტი ქალი დაიხრჩო

შორენა მარსაგიშვილი

წლევანდელი ზაფხული აფხაზეთში ჩასული რუსი ტურისტებისთვის ნამდვილად კოშმარული გამოდგა. ტურისტების გაქურდვა იქ ლამის ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ამ ზაფხულს 2 რუსი ტურისტი მოკლეს, ორიც აწამეს და დააუთოვეს.

2 რუსი ტურისტი სამხედრო საწყობის აფეთქების დროს დაიღუპა. სამხედრო საწყობი გუდაუთის რაიონში აგვისტოს დასაწყისში აფეთქდა.

მორიგი რუსი ტურისტი კი აფხაზეთში გუშინ, 7 სექტემბერს დაიღუპა. სანკტპეტერბურგელი ქალი შტორმმა შეიწირა. შემთხვევა სოხუმში, მაიაკის რაიონის ახლოს მოხდა.

როგორც საგანგებო სიტუაციების სამსახურის წარმომადგენელმა თენგიზ სებუამ ჟურნალისტებს უთხრა, მათთან შეტყობინება მოსკოვის დროით 9 საათზე შევიდა.



– ჩვენ მაშინვე გავედით შემთხვევის ადგილზე. თვითმხილველებმა გვითხრეს, რომ მიუხედავად შტორმისა და დიდი ტალღებისა, ტურისტმა ქალმა ზღვაში ბანაობა გადაწყვიტა.

ცოტა ხანში, როგორც თვითმხილველები ამბობენ, ქალი დინებამ წაიღო, გამოცურვა ვეღარ მოახერხა და მალე საერთოდ გაქრა, – აღნიშნა სებუამ.

მისივე თქმით, მათ ჰორიზონტი დურბინდებით დაათვალიერეს, მაგრამ ვერაფერი დაინახეს.

ამის შემდეგ საგანგებო სიტუაციების სამსახურმა გადაწყვიტა, შემთხვევის ადგილი კატერით დაეთვალიერებინათ. საქმეში ჩართეს მყვინთავებიც.

– 10 საათზე კატერით უკვე ზღვაში გავედით. ჩვენი მონაცემებით, შტორმი 3 ბალს აღწევდა. ბეტონის ქარხნის მიტოვებული შენობის სიახლოვეს ქალი შევნიშნეთ, – ამბობს აფხაზი მაშველი.

მისი განმარტებით, ქალს სიცოცხლის არანაირი ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. ცხედარი ნაპირზე გადაასვენეს, სადაც მისი ვინაობაც დაადგინეს.

დაღუპული 51 წლის ირინა მარჩენკო აღმოჩნდა. ის აფხაზეთში დასასვენებლად რამდენიმე დღის წინ ქალიშვილთან ერთად ჩავიდა.

აფხაზეთში ეს ტურისტების დახრჩობის პირველი შემთხვევა არ არის. სოხუმში ამბობენ, რომ დამსვენებლები ხშირად შედიან შტორმის დროს ზღვაში. ხშირად მათი სიმამაცე ფატალური შედეგით სრულდება.

მართალია, ამ ქალის დახრჩობაში აფხაზებს არანაირი დანაშაული არ მიუძღვით, მაგრამ იქ შიშობენ, რომ ეს ფაქტიც მითქმა-მოთქმის საბაბი გახდება. წლევანდელ ზაფხულს რუს ტურისტებს აფხაზეთში არცთუ სასიამოვნო არდადეგები ჰქონდათ.

ყველაფრის მიუხედავად, აფხაზეთის ხელისუფლება ფიქრობს, რომ მათ საზღვაო კურორტებს დამსვენებლები არ მოაკლდება. თუმცა ფაქტია, რუსი ტურისტების კლება აშკარაა. ისინი დასვენებას ბათუმში ამჯობინებენ.

რუსები სულ უფრო ხშირად ათავსებენ სოციალურ ქსელში დანგრეული აფხაზეთის სურათებს და იქვე ბათუმის ხედებსაც დებენ, ამბობენ, რომ ამ საზღვაო კურორტების შედარებაც კი შეუძლებელია.

# ირმა ინაშვილი: „როცა ქვეყანას ბანკირები მართავენ, სახელმწიფოებრივი აზროვნება კვდება“



– ნამდვილ „ქართულ ოცნებაში“ ბანკირი პარლამენტარებისა და ბანკირი მინისტრების დომინირებამ მოკლა 2012-ის იდეალები, – წერს პარლამენტის ვიცესპიკერი, თბილისის მერობის „პატრიოტთა ალიანსის“ კანდიდატი ირმა ინაშვილი ფეისბუქის პირად გვერდზე.

ინაშვილი საკონსტიტუციო ცვლილებებსა და მიწის გასხვისების საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ „კვლავ ბანკების ხელში სურთ ქართული მიწის ჩაგდება“.

– როცა ქვეყანას ბანკირები მართავენ, კვდება სახელმწიფოებრივი აზროვნება. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ კვდება ეროვნული აზროვნება, რადგან ბანკირ-პოლიტიკოსებს არ აინტერესებთ ერი, არამედ მათთვის მთავარია მოგება კერძო კეთილდღეობის მოხვეჭის მიზნით და ხელისუფლების უზურპაცია, ამიტომაც ისინი გეუბნებიან, რომ არ ესმით, რა არის ეროვნული ცნობიერება და ვერ ხვდებიან თითქოს, რა არ მოგვწონს საკონსტიტუციო ცვლილებების საარჩევნო ნაწილში.

ისინი აკანონებენ უკანონობას და, თუ ხმას ამოიღებ, გადანაშაულებენ დემაგოგიაში.

ისინი გპირდებიან, რომ მიწა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე არ გაიყიდება და აქაც ცრუობენ. კვლავ ბანკების ხელში სურთ ქართული მიწის ჩაგდება.

მათ სინამდვილეში ფეხზე ჰკიდიათ ბუკიკიოც და მთელი ვენეციის კომისიაც.

საარჩევნო დიქტატურის დამყარების გზით მათ სურთ ხელისუფლების უზურპაცია და ყველას აზრი, ასევე, ფეხზე ჰკიდიათ.

ისინი არ აწამებენ პატიმრებს და ჯერ არ არბევენ მიტინგებს, მაგრამ არ შეუწყვეტიათ არც ოპონენტების თვალთვალი, არც მოსმენა, არც შანტაჟი, არც დაშინება და, სხვათა შორის, არც ბიზნესის დატერორება.

ნამდვილ „ქართულ ოცნებაში“ ბანკირი პარლამენტარებისა და ბანკირი მინისტრების დომინირებამ მოკლა 2012-ის იდეალები. გამოფხიზლდით, ვინც ჯერ კიდევ ვერ ხედავთ ამ უბედურებას.

P.S. პატივისცემით გთხოვთ, ნუ შემომივარდებით ამ პოსტზე „ქართული ოცნების“ ეგზალტირებული მომხრეები. სააკაშვილი რომ მოვიდა, პირველ წლებში მასზე კრიტიკას 3-4 კაცი თუ ბედავდა და სწორედ ეგზალტირებული საზოგადოება ესხმოდა თავს ამ 3-4 ადამიანს. ეს კინო ერთად ვნახეთ. ეს ჯოჯოხეთიც ერთად გავიარეთ. ახალი აღარ გვინდა, გთხოვთ, – წერს ინაშვილი.

# 2013 წლის შემდეგ პირველად საქართველოში ჯილეხით გარდაცვალების შემთხვევა დაფიქსირდა



2013 წლის შემდეგ საქართველოში ჯილეხით გარდაცვალების ერთი შემთხვევა დაფიქსირდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ინფექციურ დაავადებათა სამსახურის უფროსმა ხათუნა ზახაშვილმა განუცხადა, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის, სოფელ ახალსოფელში ჯილეხით დაავადებულმა მამაკაცმა სამედიცინო დაწესებულებას დაგვიანებით მიმართა. მას ჯილეხის კანის ფორმა ჰქონდა, რაც დაავადებულ ცხოველთან კონტაქტის შედეგად განუვითარდა.

ზახაშვილის თქმით, 2013 წლის შემდეგ გარდაცვალების შემთხვევა პირველად დაფიქსირება. ბოლო რვა თვის მონაცემებით, საქართველოში სულ დაავადების 20 შემთხვევაა გამოვლენილი და ყველა მათგანი კანის ფორმაა. ანალოგიური იყო შემთხვევების რაოდენობა 2016 წელსაც.

– ზოგადად, ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში ადამიანის ჯილეხით დაავადების შემთხვევები ინტენსიურად კლებულობს. მხოლოდ კანის ფორმა ფიქსირდება, რაც დაავადებული ცხოველის დაკვლის, გატყავების ან ხორცის მომზადების მცდელობისას ხდება. ჯილეხი მძიმე დაავადებაა, რომელიც ზოგჯერ სიკვდილით მთავრდება. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ პაციენტი დროულად არ მიმართავს ექიმს და არ დაიწყებს მკურნალობას. დაავადება მკურნალობას ექვემდებარება და განკურნებადია. დაავადებულმა მამაკაცმა გვიან მიმართა ექიმს, რის გამოც პროცესის გენერალიზაცია დაიწყო და პაციენტის სიკვდილი გამოიწვია, – განაცხადა ზახაშვილმა.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ჯილეხით 60 წლამდე მამაკაცი გარდაიცვალა. შემთხვევა 26 აგვისტოს მოხდა. როგორც საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტოს დირექტორის მოადგილე დემნა ხელაიამ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, გარდაცვლილი საქონლის დაკვლის პროცესში დაავადდა. შემთხვევის ადგილზე სპეციალისტები იმყოფებოდნენ, რომლებმაც ტერიტორიაზე სადეზინფექციო სამუშაოები ჩაატარეს.

– მდგომარეობა შევისწავლეთ. პირველ რიგში სანიტარიული ღონისძიებები ჩატარდა. ტერიტორიაზე ვაქცინაცია მოხდა. ყველა სულადობა აცრილია, – განაცხადა დემნა ხელაიამ.

# სემეკში საჯარო ადმინისტრაციული წარმოებები დაიწყო

სემეკ-მა გუშინდელ სხდომაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოებები დაიწყო. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების კომისიის ინფორმაციით, საუბარია ელექტროენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორში მოქმედი რამდენიმე კომპანიისათვის 2018 წლის საქმიანობის ტარიფის დადგენაზე, რადგანაც სატარიფო მეთოდოლოგიების შესაბამისად, კომპანიებს ტარიფები დადგენილი აქვთ 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

კომისიის ცნობით, საჯარო ადმინისტრაციული წარმოებების მიზანია ტარიფების დადგენის პროცესის გამჭვირვალობა, დაინტერესებული პირების ჩართულობის უზრუნველყოფა და საზოგადოების მაქსიმალური ინფორმირება.

სემეკ-ის ინფორმაციით, 7 სექტემბერს საჯარო ადმინისტრაციული წარმოებები დაიწყო შემდეგ საკითხებზე:

შპს „ენერგოტრანსისთვის“ ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფის დადგენის მიზნით; შპს „ენგურჰესისთვის“ ელექტროენერგიის წარმოების ტარიფის დადგენის მიზნით; შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერისთვის“ წყალმომარაგების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფების დადგენის მიზნით; შპს „მცხეთის წყალისთვის“ წყალმომარაგების (ზედა ზღვარი) ტარიფების დადგენის მიზნით; შპს „რუსთავის წყალისთვის“ წყალმომარაგების (ზედა ზღვარი) ტარიფების დადგენის მიზნით; შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ საკუთრებაში არსებული ჰიდროელექტროსადგური – ჟინვალჰესისთვის ელექტროენერგიის წარმოების ტარიფების დადგენის მიზნით; შპს „ჯი ფაუერისთვის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასურისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერგიის წარმოების ტარიფის დადგენის მიზნით; სს „ენერგო პრო ჯორჯიასთვის“ ელექტროენერგიის განაწილების, გატარების და მოხმარების ტარიფის დადგენის მიზნით; სს „ენერგო პრო ჯორჯია გენერაციისათვის“ მის საკუთრებაში არსებული ჰიდროელექტროსადგურების – რიონჰესის, ლაჯანურჰესის, ძევრულჰესის, გუმათჰესების კასკადის და შაორიჰესის ელექტროენერგიის წარმოების ტარიფის დადგენის მიზნით.




აღნიშნულ საკითხებზე ნებისმიერი დაინტერესებული პირის მიერ კომისიაში წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვრა 2017 წლის 5 ოქტომბერი, ხოლო კომისიის მიერ გადაწყვეტილებები მიღების ბოლო ვადად – 2017 წლის 31 დეკემბერი.

საჯარო ადმინისტრაციული წარმოებების მიმდინარეობისას მოხდება კომპანიების მიერ სატარიფო განაცხადთან ერთად წარმოდგენილი ფინანსური და ტექნიკური მონაცემების შესახებ არსებული დოკუმენტაციის გაანალიზება და დეტალური შესწავლა. სატარიფო განაცხადი არ ითვალისწინებს კომპანიის მიერ კონკრეტული ტარიფის მოთხოვნას. ტარიფის დადგენა ხდება ფინანსური და ტექნიკური მონაცემების შესახებ კომისიაში კომპანიების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე. დოკუმენტაციას შეისწავლის ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი შესაბამის დარგობრივ დეპარტამენტთან ერთად. დოკუმენტაციის შესწავლის დასრულების შემდეგ, დეპარტამენტი პროექტს წარადგენს საჯარო სხდომაზე, სადაც კომისიის თავმჯდომარე და წევრები საჯაროდ მიიღებენ გადაწყვეტილებას.

კომისიის მიერ რეგულირებად სექტორებში არსებული სატარიფო მეთოდოლოგიების შესაბამისად, ლიცენზიანტი კომპანიებისათვის ტარიფების დადგენა ამჟამად ხდება ყოველწლიურად. სასმელი წყლისა და ელექტროენერგიის სატარიფო მეთოდოლოგიებში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, 2018 წლიდან ელექტროენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორში მოქმედ კომპანიებს ტარიფები დაუდგინდებათ 3 წლის ვადით. კომისია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში მოახდენს დადგენილი ტარიფების კორექტირებას რეგულირების პერიოდის დასრულებამდე.

**ინტერპრესნიუსი**

## არჩილ მესტვირიშვილი: „მომავალი წლის დასაწყისში ინფლაცია 3%-მდე შემცირდება“



არსებული პროგნოზებით, ინფლაცია მიმდინარე წლის განმავლობაში დაახლოებით იმ ფარგლებში იქნება, რაც დღეს არის.

ამის შესახებ ეროვნული ბანკის ვიცეპრეზიდენტმა არჩილ მესტვირიშვილმა განაცხადა.

– დღეს ჩატარდა მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სხდომა, სადაც ჩვენ განვიხილეთ მიმდინარე მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, მომავალი პროგნოზები და გამომდინარე ინფლაციის მომავალი

მაჩვენებლებიდან, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი უცვლელად შეგვენარჩუნებინა. არსებული პროგნოზებით, ინფლაცია მიმდინარე წლის განმავლობაში დაახლოებით იმ ფარგლებში იქნება, რაც დღეს არის. მომავალი წლის დასაწყისში შემცირდება 3%-მდე, რომელიც არის მიზნობრივი მაჩვენებელი 2018 წლიდან დაწყებული, 2018 წლის განმავლობაში მიზნობრივ მაჩვენებელთან ახლოს იქნება, – განაცხადა არჩილ მესტვირიშვილმა.

მესტვირიშვილმა ასევე მთავრობის ოპერაციებთან დაკავშირებითაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ესაა ხაზინის ფულის მართვის ოპერაციები, რომლებიც ხორციელდება ეროვნულ ბანკთან კოორდინირებით.

– რაც შეეხება მთავრობის ოპერაციებს, ეს არის ხაზინის ფულის მართვის ოპერაციები, რომლებიც ხორციელდება ეროვნულ ბანკთან კოორდინირებით და ეს შემუშავებულია მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის დახმარებით. ეს ოპერაციები არ იწვევს ფულის მიწოდების ზრდას, გამომდინარე იქიდან, რომ ანალოგიური მოცულობით ხდება ეროვნული ბანკის რეფინანსირების სესხებზე მოთხოვნის შემცირება. ეს მსგავსი პროდუქტებია და ერთმანეთს აბალანსებს, – განაცხადა მესტვირიშვილმა.

**ბიპიენი**

## ლადო პაპავა: „ნუ გაგვიკვირდება, რომ ლარი უფასურდება“



გაცვლით კურსთან ასეთი თამაშები, მით უფრო, არჩევნების წინ, გონიერი მთავრობის მხრიდან არ უნდა მოდიოდეს.

ამის შესახებ პროფესორმა ლადო პაპავამ „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „360 გრადუსი“ ბოლო დღეებში ეროვნული ვალუტის გაუფასურებასთან დაკავშირებით განაცხადა.

მისი შეფასებით, ლარი-დოლარის გაცვლით კურსთან დაკავშირებით მოულოდნელი არაფერი ხდება.

– 2017 წლის ბიუჯეტი გათვლილია გაცვლით კურსზე – 1 დოლარი უდრის 2.50 ლარს. ბიუჯეტში თავმოყრილია თანხები, რომლებიც უნდა დაიხარჯოს, თუმცა ვერ იხარჯება და კომერციული ბანკების ანგარიშებზეა გადასროლილი, რადგან პროცენტი დაერიცხოთ და ბიუჯეტმა აქედან შემოსავალი მიიღოს. ეს კი ბუნებრივია, ფულის მასასა და მიწოდებას ზრდის. შესაბამისად, ნუ გაგვიკვირდება, რომ ლარი უფასურდება. ეს ყველაფერი მთავრობის მანიპულაციებია. გაცვლით კურსთან ასეთი თამაშები, მით უფრო არჩევნების წინ, გონიერი მთავრობის მხრიდან არ უნდა მოდიოდეს, – განაცხადა პაპავამ.

ამასთან, როგორც პაპავამ აღნიშნა, ლარის გაუფასურება იმპორტირებული პროდუქტის ფასზე აისახება და მათი ღირებულების ზრდას გამოიწვევს.

**ბიპიენი**

## „თუ ლარმა სერიოზული დევალვაცია განიცადა, იმპორტირებული პროდუქციის ფასები გადაიხედება“



იმპორტირებულ პროდუქციაზე ფასები შესაძლოა სექტემბრის მეორე ნახევრიდან გაიზარდოს. ამის შესახებ „კომერსანტთან“ „საქართველოს დისტრიბუტორთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი ივა ჭყონია საუბრობს. მისი მტკიცებით, ამ ეტაპზე გარკვეული ცვლილებები ფასთან დაკავშირებით არ არის. ჭყონია იმედოვნებს, რომ სიტუაცია შეიცვლება და იმპორტიორებს ფასის გადახედვა არ მოუწევთ.

– გამომდინარე იქიდან, რომ ბიუჯეტი დათვლილი იყო 2.5 ნიშნულზე, საქონელიც კომპანიებს ამ კურსზე ჰქონდათ გათვლილი. თუ დიდი ცვლილებები არ მოხდა და ლარის კურსი 2.65-იან ნიშნულს არ ასცდა, ისევ და ისევ იმპორტიორ და სადისტრიბუციო კომპანიების კისერზე გადავა ეს თემა. ისევ მოგების მარჟის შემცირება მოგვიწევს. თუ სერიოზული ცვლილება მოხდა და ლარმა სერიოზული დევალვაცია განიცადა, ფასები ამის შემდეგ გადაიხედება, – აცხადებს ჭყონია.

„საქართველოს დისტრიბუტორთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი ფსიქოლოგიურ ნიშნულსაც ასახელებს და აცხადებს, რომ ლარის კურსის 2.65-2.70 ნიშნული უკვე ძალიან მაღალი ზღვარია. შედეგად, ამ შემთხვევაში პროდუქციის ღირებულება თვითღირებულებაზე ქვემოთ გადის. ასეთ ვითარებაში „დისტრიბუტორთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი სასწრაფო წესით ფასების გაზრდის საჭიროებას ხედავს.

– არის გარკვეული პროდუქცია, რომელიც კურსის ცვალებადობასთან ძალიან სენსიტიური და ლიკვიდურია. მაგალითად, ავიღოთ შაქარი, მარილი. რა პროდუქციაც სწრაფად ბრუნვადია, მისი ფასები კურსთან მიბმული და მიახლოებულია. ამიტომ ასეთ პროდუქციაზე ფასის ცვლილება ხშირად ხდება ხოლმე. თუმცა, არის გარკვეული ტიპის პროდუქციები, რომლებზეც ფასთა ცვლილება შედარებით ნელა ხდება. ჯერ განგაშის ატეხვა არ ღირს, თუმცა, თუ ასე გაგრძელდა, სექტემბრის მეორე ნახევრიდან ფასები გადაიხედება, – აცხადებს ჭყონია.

აღსანიშნავია, რომ ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებით რამდენიმე თეთრით გაუფასურდა. რამდენიმეთვიანი სტაბილურობის შემდეგ, ეროვნული ვალუტის გაუფასურება 24 აგვისტოდან დაიწყო. ეროვნული ბანკის მიერ 7 სექტემბრისთვის დადგენილი კურსით, ერთი დოლარის ღირებულება 2.4802 ლარია.

**კომერსანტი**

## ლევან დავითაშვილი: „აზიური ფაროსანა ადამიანისთვის საშიში არ არის“

აზიური ფაროსანა ადამიანისთვის საშიში არ არის.

ამის შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

მინისტრმა ის ღონისძიებები და მდგომარეობა განმარტა, რომელიც რეგიონებში მავნებლის გამო არის შექმნილი.

ლევან დავითაშვილის ინფორმაციით, სახელმწიფო მავნებელთან ბრძოლას აგრძელებს.

– როგორც იცით, საქართველოში დაფიქსირდა ახალი მავნებელი, აზიური ფაროსანა, რომელთან ბრძოლის ღონისძიებებიც სახელმწიფომ დაგეგმა მსოფლიოს წამყვან სპეციალისტებთან ერთად 2016 წლის ბოლო კვარტალში. 2017 წლის მარტში მივიღეთ მთავრობის განკარგულება, რომელიც მავნებელთან ბრძოლას უკავშირდებოდა. მინდა ინფორმაცია მივაწოდო რეგიონებს, რომლებშიც ეს მავნებელი არის გავრცელებული – სახელმწიფო აგრძელებს ბრძოლას. ჩვენ დაგეგმილ ღონისძიებებს გავაგრძელებთ. ასევე შევიტანეთ ცვლილებები მთავრობის განკარგულების პროექტში და წლის ბოლომდე, ვიდრე მავნებელი მიეცემა ძილს, გავაგრძელებთ ღონისძიებებს, – განაცხადა დავითაშვილმა და მოსახლეობას მავნებელთან ბრძოლის საკითხებში მობილიზებისკენ მოუწოდა.

მინისტრის თქმით, ეს გამოწვევა მარტივი არ არის და პრობლემა რთულია ყველა ქვეყნისთვის, რომელშიც ის ფიქსირდება.

– ჩვენი გზავნილი არის ის, რომ სახელმწიფო იქნება ჩართული ბრძოლაში. ეს არის არა ერთი წლის პრობლემა და უბრალოდ პირველი წელი უნდა ჩავატაროთ მაქსიმალურად ეფექტურად, რომ მომავალი წლების განმავლობაში მივაღწიოთ შედეგს. ეს მწერი ადამიანისთვის საშიში არ არის. ის არის სასოფლო-სამეურნეო მავნებელი და ადამიანს არ ერჩის. რაც შეეხება მოსახლეობის მობილიზებას, გვესმის მოსახლეობის შეჭირვებული მდგომარეობა და გათვალისწინებულია იმ პესტიციდების მიწოდება, რომელიც ეფექტურია მავნებელთან ბრძოლის კუთხით, – აღნიშნა მინისტრმა.

მისივე ინფორმაციით, მიმდინარე კვირაში საქართველოში მსოფლიოს წამყვანი ორი ორგანიზაციის წარმომადგენელი იმყოფებოდა მცენარეთა დაცვის კუთხით და მათ აღნიშნეს, რომ ამ მავნებელთან ბრძოლის კუთხით დიდი გამოცდილება არ არსებობს და საქართველოს გამოცდილებას სხვა ქვეყნებიც გაიზიარებენ.

რაც შეეხება პროცესში ავიაციის შესაძლო ჩართვას, ლევან დავითაშვილის განმარტებით, „ავიაციის გამოყენების შესაძლო არეალი არის შეზღუდული. ეს საკითხი დღის წესრიგში ყოველთვის იყო და მავნებელთან საბრძოლველად ყველა შესაძლო ვარიანტი განიხილება“.

## ივნის-აგვისტოს მონაცემებით, საქართველოს 2.729.429 საერთაშორისო მოგზაური ესტუმრა

საქართველოს 2017 წლის აგვისტოში 1,080,449 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც 232,068-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (ზრდა +27.4%)-ია. აგვისტოს თვის მაჩვენებლებით იმ უცხოელი მოგზაურების ანუ ტურისტების რიცხვმა, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს საქართველოში 573,368 შეადგინა, რაც 122,721-ით მეტია 2016 წლის აგვისტოს მაჩვენებელზე (ზრდა +27.2%).

ტურიზმის ადმინისტრაციის ინფორმაციით, საერთაშორისო მოგზაურთა უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობა დაფიქსირდა ზაფხულის სეზონზე. ივნის-აგვისტოს მონაცემებით, საქართველოს 2,729,429 საერთაშორისო მოგზაური სტუმრობდა, რაც 597,527-ით მეტია გასული წლის ზაფხულის სეზონთან შედარებით. (ზრდა +28%) რაც შეეხება იმ უცხოელი მოგზაურების ანუ ტურისტების რიცხვს, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს ზაფხულის სეზონზე 1,421,031 შეადგინა, რაც 350,168-ით მეტია გასული წლის ივნის-აგვისტოს პერიოდთან შედარებით (ზრდა +32.7%)

2017 წლის იანვარ-აგვისტოს მონაცემებით, საქართველოს 5,059,106 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც 804,263-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (ზრდა +18.9%)-ია.

იანვარ-აგვისტოს მაჩვენებლებით იმ უცხოელი მოგზაურების ანუ ტურისტების რიცხვმა, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს საქართველოში, 2,402,699 შეადგინა, რაც 546,537-ით მეტია 2016 წლის იანვარ-აგვისტოს მაჩვენებელზე (ზრდა +29.4%).

2017 წლის იანვარ-აგვისტოში ყველაზე მეტი ვიზიტი აზერბაიჯანიდან (+10.4%), სომხეთიდან (+16.8%), რუსეთიდან (+33.9%), თურქეთიდან (-6,6%) და ირანიდან (+141.9%) განხორციელდა. პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-აგვისტო გამოირჩეოდნენ: ნიდერლანდები +38%, გერმანია +32%, გაერთიანებული სამეფო +31% და საფრანგეთი +29%.

განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა შემდეგი ქვეყნებიდან: საუდის არაბეთი +196%, ქუვეითი +178%, ირანი +142% და ინდოეთი +99%.

მონაცემები ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიაწოდა.

**ინტერპრესნიუსი**

# „სახელმწიფო მიწის რესურსის გაყიდვის მონოპოლისტი ხდება“

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატან ცვლილებებს „კომერსანტთან“ ეკონომიკის ექსპერტები აფასებენ. პარლამენტმა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტი გუშინ პირველი მოსმენით განიხილა.



საკითხზე მომხსენებელმა, პარლამენტის წევრმა ანრი ოხანაშვილმა განაცხადა, რომ ამ კანონპროექტით ნარჩუნდება ის პრინციპი, რომ მიწა არის განსაკუთრებული რესურსი და მისი მესაკუთრე უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე. მისი თქმით, კანონპროექტის მიღება ხდება იმის გამო, რომ რომ არ შეიქმნას სამართლებრივი ვაკუუმი, და საკუთრების კონსტიტუციური უფლება იყოს დაცული. ოხანაშვილის თქმით, კანონპროექტი მიიღება გარდამავალი ეტაპისთვის, სანამ არ იქნება მიღებული ორგანული კანონი, რომელიც დაარეგულირებს მიწის საკითხს.

კანონპროექტით კომერციულ ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ეძლევათ ვალდებულება, შესაბამისად, ორი და ერთ წლის ვადაში გაასხვისონ მათ საკუთრებაში არსებული მიწები მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე.

„კომერსანტი“ დაინტერესდა რატომ გახდა აუცილებელი 2 თვის წინ მიღებულ კანონში ცვლილების შეტანა, რატომ თავის დროზე არ იქნა გათვალისწინებული ეს გარემოებები, რატომ შევიდა საფინანსო სექტორი გამონაკლისებში და რა შედეგებს მოიტანს მთავრობის ეს გადაწყვეტილება?

„ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის“ ხელმძღვანელი ირაკლი მაკალათიას განცხადებით, ამ შემთხვევაში სახელმწიფო ხდება მიწის რესურსის გაყიდვის მონოპოლისტი და თავად გადაწყვეტს ვის მიყიდოს და ვის არა. მისი შეფასებით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის და ბანკებისთვის პრივილეგიების მინიჭება კი განპირობებულია იმით, რომ საბანკო-საფინანსო სექტორი, ქვეყანაში ყველაზე უფრო განვითარებულია. მაკალათიას განმარტებით, ამ სფეროში დიდი ფული ტრიალებს და სახელმწიფოს მოტივაციაც აქედან გამომდინარეობს.

ექსპერტი ამბობს, რომ სახელმწიფოს მიერ გატარებული ეს ეკონომიკური რეფორმა გაუმართლებელია. მისი თქმით, ის იტოვებს უფლებას, რომ მიწა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში გაყიდოს. ექსპერტის აზრით, თუ მიწაზე მორატორიუმი გამოაცხადეს, ეს უნდა გავრცელებულიყო როგორც კერძო სექტორზე, ისე სახელმწიფოზე. გარდა ამისა, კანონში გამონაკლისების არსებობა დაუშვებელია.

— ბანკები და საფინანსო სექტორიც კერძოა, თუმცა, როდესაც კერძო სტრუქტურა მონოპოლისტია და ბაზარზე თამაშის წესებს თვითონ განსაზღვრავს, ამ შემთხვევაში გაუმართლებელია. რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ შევიდა გამონაკლისებში სადაზღვევო სექტორი, ვთვლი, რომ მთავრობის მხრივ ამაში ხელის შეშლაა. როდესაც კერძო მესაკუთრეების რაოდენობა იკლებს, შესაბამისად, მცირდება დაზღვევით მოსარგებლე მომხმარებლების რაოდენობაც, სადაზღვევო კომპანიებს არ აქვთ ინტერესი. არსებობს სადაზღვევო პროდუქტები, თუმცა არის არაეფექტური, მაღალპროცენტიანი და გამოყენება დიდი არ აქვს. იმისთვის რომ აგროდაზღვევა ხელმისაწვდომი იყოს, აუცილებელია მომხმარებლების დიდი რაოდენობა არსებობდეს. მაგალითად, ადამიანს საკუთრებაში აქვს 5 ჰექტარი მიწის ნაკვეთი და მისი ღირებულება არ აღემატება 10 000 ლარს. აღნიშნული ფართის დაზღვევა გამორიცხულია. იმ შემთხვევაში, თუ ამ აქტივს ფასი ექნება, ასეთი აქტივების მფლობელთა რაოდენობა გაიზრდება, კონკურენციაც წავა და სადაზღვევო სექტორი პროდუქტების განვითარებითა და გამრავალფეროვნებით უფრო დაინტერესებული იქნება, — აცხადებს მაკალათია.

მისი განცხადებით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის დაახლოებით 60 პროცენტი ამ დრომდე სახელმწიფოს საკუთრებაშია. შედეგად, კარგი იქნებოდა, თუ ეს კერძო საკუთრებაში, საქართველოს მოქალაქეებზე გადავიდოდა და მას გადაეწყვიტა თავის საკუთრებაში არსებული მიწის ფონდი ვისზე და როგორ გაეყიდა.

— ის შიშები, რომ ქართველი შემდეგ ამას აუცილებლად გაყიდის და სხვა ტომელები ჩამოგვისახლდებიან, არასწორია. დღეს უცხოელების მიერ მიწების ყიდვა, აქ არსებული დაბალი ფასის გამო ხდება. მას შემდეგ რაც მოხდებოდა მათი განკერძოება და კერძო სექტორში გადასვლა, მიწაზე ფასი გაიზრდებოდა. თუ ქართული მიწის ფასი დაუახლოვდება საერთაშორისო ფასებს, უცხოელებს აქ მიწაზე მაღალი ფასის ბერკეტი დახვდებათ. ასეთ დროს, ფასი ბუნებრივი რეგულატორი გახდება იმ ადამიანებისთვის, ვისიც ასე გვეშინია. ფინანსურად ძლიერი უცხოური კომპანიები კი, ინტერესის შემთხვევაში, თავისუფლად გადაიხდიან რამდენიმე ათეულ ათას ევროს, — აცხადებს მაკალათია.

როგორც ექსპერტი ამბობს, დღეს საქართველოში უცხოელების მფლობელობაში სასოფლო-სამეურნეო მიწების 5 პროცენტამდეა, ეს კი მთლიანი მიწის ფონდის 2 პროცენტს შეადგენს. მაკალათიას განცხადებით, ეს ძალიან მცირე პროცენტია და სახელმწიფოსთვის რაიმე საშიშროებას არ უნდა წარმოადგენდეს.

მაკალათიას თქმით, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შემდეგ ინვესტორს მიმზიდველი ბიზნესგარემო არ დახვდება. „ინვესტორი რომ შემოდის, მას უწევს მოლაპარაკება უკვე არა კერძო სექტორთან, არამედ სახელმწიფოსთან. ეს კი ინვესტორისთვის მიმზიდველი გარემო არ არის. მას ურჩევნია კერძოსთან ჰქონდეს ურთიერთობა“, — აცხადებს მაკალათია.

რაც შეეხება ეკონომიკურ ეფექტს, ექსპერტი აცხადებს, რომ კანონში ამ ფორმის ცვლილების შეტანა საკმაოდ ბევრ ნეგატიურ ეკონომიკურ პროცესებს გამოიწვევს. მათ შორისაა, სოფლის მეურნეობის განვითარების შენელება.

— დღეს სოფლის მეურნეობა იმიტომ ვერ ვითარდება, რომ ფერმერს არ აქვს ის ფინანსები, რითიც ის მიწას დაამუშავებდა. ამისთვის კი აუცილებელია ის, რომ მის ხელთ არსებული მიწის აქტივი მაღალი ღირებულების იყოს. თუ 1 ჰექტარი 10 000 დოლარი ღირს, ასეთ პირობებში ბანკი ფერმერს მინიმუმ 50.000 დოლარს მისცემს. ეს კი მცირე თანხაა იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობის სექტორში რაიმე ღირებული გააკეთო. დროა აქტივს ფასი დაედოს და ამით მოხდეს დამატებითი ფინანსების მოზიდვა. ამ პირობებში ფინანსებს ვერ მოიზიდავენ, — აცხადებს მაკალათია.

როგორც ცნობილია, „ქართული ოცნების“ მიერ წარმოდგენილი პროექტი დაჩქარებული წესით განიხილება. ნაციონალური მოძრაობის წევრების განცხადებით, მმართველი გუნდი გადაწყვეტილებას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საწინააღმდეგოდ იღებს.

**კომერსანტი**

## საქართველოს კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება საბანკო გარანტიებთან დაკავშირებით

სადაზღვევო კომპანია უნისონი უკვე რამდენიმე წელია, ღიად აფიქსირებს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციის მხრიდან სახელმწიფო შესყიდვებისას სადაზღვევო კომპანიების მიერ გაცემული საბანკო გარანტიების მიღებისა და აღიარების ნაწილში პრობლემებს. კომპანია თვლიდა, რომ აღნიშნული აშკარად შეიცავდა კონკურენციის შეზღუდვის, მომხმარებლისათვის არჩევანის წართმევისა და ბანკებისათვის უპირატესი უფლების მინიჭების ნიშნებს.



მიუხედავად იმისა, რომ პრობლემა სრულიად სადაზღვევო სექტორს შეეხებოდა, უნისონი აღმოჩნდა პირველი, რომელმაც, ზემოაღნიშნულის დადგენის მიზნით, მიმართა საქართველოს კონკურენციის სააგენტოს და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მჭიდროდ ითანამშრომლა მასთან.

შედეგად, საქართველოს კონკურენციის სააგენტომ სადაზღვევო კომპანია უნისონის სარჩელის საფუძველზე დაადგინა რამდენიმე სახელმწიფო ორგანიზაციის მხრიდან კონკურენციის კანონის მე-10 მუხლის დარღვევა. კერძოდ, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის, ბათუმის მერიის, ხაშურის მუნიციპალიტეტის, თბილისის მერიისა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში სადაზღვევო კომპანიების მიერ გაცემული საბანკო გარანტიების მიუღებლობა ჩაითვალა სადაზღვევო სექტორისთვის ხელოვნური ბარიერის შექმნად.

სადაზღვევო კომპანიების გარანტიების მიუღებლობით ტენდერებში მონაწილეობის საშუალება ეზღუდებოდათ კომპანიების ნაწილს, რომლებსაც ბანკები უგვიანებდნენ ან უარს ეუბნებოდნენ საბანკო გარანტიებზე, მაშინ როცა სადაზღვევო სექტორს საშუალება ჰქონდა დროულად მოეხდინა მათთვის ამგვარი გარანტიების შეთავაზება. ბაზარზე ხელოვნური ბარიერის შექმნა იწვევდა საბანკო სექტორის დომინანტურ პოზიციას. ეს ხელს უშლიდა კონკურენტული გარემოს შექმნას, საბანკო გარანტიებზე კონკურენტული, დაბალი ფასის დაწესებასა და პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესებას.

სახელმწიფო ორგანიზაციების არგუმენტი, რომ სადაზღვევო სექტორი დროულად არ ასრულებდა გარანტიებით აღებულ ვალდებულებებს, რაც ძირითადად ეფუძნებოდა ერთ-ერთი სადაზღვევო კომპანიის რამდენიმე შემთხვევას, კონკურენციის სააგენტომ მიუღებლად ცნო. გადაწყვეტილებაში მოყვანილია სადაზღვევო კომპანია უნისონის შემთხვევა, როდესაც ამ უკანასკნელმა ბათუმის მერიას აუნაზღაურა 1.150.000 ლარზე მეტი ღირებულების გარანტია, რაც ადასტურებს სადაზღვევო სექტორის სანდოობასა და გადახდისუნარიანობას.

კონკურენციის სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულო რეკომენდაციის სახით დაეგზავნება სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე ორგანიზაციებს. როგორც სადაზღვევო კომპანიები აცხადებენ, მიღებული გადაწყვეტილება სახელმწიფო შესყიდვების პროცესსაც უფრო ეფექტურს გახდის და უფრო მეტი ახალი კომპანია შეძლებს ტენდერებში მონაწილეობას, სადაზღვევო კომპანიების მიერ გაცემული მოქნილი საბანკო გარანტიების პირობებში.

**კომერსანტი**

## ქუმსიშვილი: „ლარის კურსის ცვლილება სეზონური მოვლენაა“

სახელმწიფო ხაზინის მხრიდან კომერციულ ბანკებში განთავსებულ თანხებს მთლიანი ფულის მოწოდებაზე ზეგავლენა არ ჰქონია, — განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა, დიმიტრი ქუმსიშვილმა, რომელმაც მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ კომენტარი გააკეთა ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ კომერციულ ბანკებში დეპოზიტების განთავსების საკითხზე.



— პარლამენტის სხდომა დაიწყო სპეკულაციით, თუმცა სხვა მოლოდინი ნაციონალური მოძრაობის წევრისგან არ არსებობს, მაგრამ ჩვენი მოსახლეობა იმსახურებს, მივაწოდოთ სრული ინფორმაცია — ხაზინის მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებულ თანხებზე. დღეს ფულადი ბაზარი ისეა მოწყობილი, როგორც ზიარჭურჭელი და იმავე მოცულობის თანხით, რამდენიც ხაზინის მხრიდან განთავსდა კომერციულ ბანკებში, პრაქტიკულად, შემცირდა რეფინანსირება ეროვნული ბანკიდან. შესაბამისად, ამას არ ჰქონია ზეგავლენა მთლიან ფულის მიწოდებაზე, — აღნიშნა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

პირველმა ვიცე-პრემიერმა ხაზი გაუსვა სახელმწიფო ხაზინის ფულადი სახსრების მართვის ეფექტიანობის ზრდისთვის აღნიშნული რეფორმის მნიშვნელობას.

— მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ზოგადად, ლარიზაციისათვის ახალი ინსტრუმენტების გაჩენა. გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენ მივიღეთ ფულადი სახსრების მართვასთან დაკავშირებით, გამოწვეული იყო სწორედ ახალი ლიკვიდური ინსტრუმენტის გაჩენით და ლარის მასის მოწოდებით, რომელიც საბოლოო ჯამში, უნდა მოხვდეს ჩვენს მოსახლეობასთან, კონკრეტულად იმ კომპანიებთან, რომლებსაც ეროვნულ ვალუტაში ესაჭიროებათ სესხი, რათა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა გაიზარდოს, — განაცხადა პირველმა ვიცეპრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

მისი თქმით, პირველი 8 თვის განმავლობაში მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა საგადასახდელო ბალანსის კუთხით.

— ძალიან კარგად გვეზრდება ტურიზმი, ექსპორტი და ფულადი ჩარიცხვები, ჯამურად უცხოური ვალუტის შემოდინება 700 მლნ დოლარით არის გაუმჯობესებული, რაც დადებით ზეგავლენას ახდენს კურსის სტაბილურობაზე. თვითონ სტაბილურობას რაც შეეხება, ჩემი დაკვირვებით, ეს არის სეზონური მოვლენა. თუ ჩვენ დავაკვირდებით, 15-20 აგვისტოს პერიოდიდან დაიწყო აღნიშნულმა გამოვლინება, რაც დამახასიათებელია ჩვენი ქვეყნისთვის, თუმცა მე ამ წუთში ვაფასებ ამას, როგორც ერთჯერად გამოვლინებას, რომელმაც უკვე გადაიარა, — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

**კომერსანტი**

## 21 წლის სტუდენტის სტარტაპი „კარენინა“ — „მცირე ბიზნესის დაწყება ადვილია, გაფართოება — რთული“

ილიას უნივერსიტეტის სტუდენტი ნინი კარელიძე 2016 წლიდან ხის ჩანთებს აწარმოებს. 21 წლის სტარტაპერი ჩანთებს წიგნების ყდით, „კარენინას“ სახელით ამზადებს. როგორც კარელიძე „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, ის ნამუშევრებს ძირითადად სოციალური ქსელების მეშვეობით, ონლაინ ყიდის. როგორც აღმოჩნდა, ქართველი მომხმარებლების გარდა, პროდუქციით უცხოელი ტურისტებიც ინტერესდებიან.

— ამ ყველაფრით გატაცებული ვიყავი და შემდგომ ჩემი საყვარელი საქმე ბიზნესად ვაქციე. ყველაფერს საკუთარი ხელით ვქმნი. მაქვს ლაზერული მჭრელი, რისი მეშვეობითაც ხეს ვჭრი. ჩანთის სარჩულს თექის, ხოლო მხარზე გადასაკიდს ტყავით ვამზადებ. პროდუქცია საკმაოდ გამძლეა და ჯერ პრეტენზია არავის ჰქონია.

რაც შეეხება ბიზნესში თავდაპირველად ჩადებულ კაპიტალს, მე მონაწილეობას ვიღებდი პროექტში — დაიწყე ბიზნესი „ფაბლაბთან“ ერთად. ეს თავიდან ძალიან დამეხმარა, ხოლო შემდეგ უკვე ბიზნესის განვითარებისთვის საკუთარი პროდუქციის გაყიდვებიდან შემოსული თანხის რეინვესტირება განვახორციელე. დღეს ბევრი პროექტია, რისი მეშვეობითაც ნებისმიერ შეუძლია ბიზნესის დაწყება, — ამბობს ნინი კარელიძე.

ნინი კარელიძე ქვეყანაში მცირე ბიზნესში არსებულ პრობლემებსა და ჩანთების საფასო პოლიტიკაზეც საუბრობს.

— მცირე ბიზნესის წამოწყება მარტივია. თუმცა ამ ყველაფრის შემდგომი გაფართოებისთვის დიდი თანხა სჭირდება, ეს არის რთული.

სექტემბრიდან სტენდის გაკეთებას ვგეგმავ, რათა მხოლოდ ონლაინ გაყიდვებზე არ ვიყო დამოკიდებული. ჩემი ჩანთების ფასები კი 90-დან 120 ლარამდე მერყეობს. თავდაპირველად ძირითადად „ალის საოცრებათა ქვეყანაში“ წიგნის ყდით ვამზადებდი ჩანთებს, მომხმარებლებს მოსწონდათ, რადგან ის სადა და პრაქტიკული იყო. ახლა უკვე თითქმის ყველანაირი ჩანთა ერთნაირი ტემპით იყიდება, — აღნიშნა ნინი კარელიძემ.

# ნინო ბურჯანაძე: „სააკაშვილს დავეთანხმე, რომ ვალერი გელაშვილი საცემი იყო“

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის, „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერ ნინო ბურჯანაძის ინფორმაციით, ვალერი გელაშვილმა მას საავადმყოფოში უთხრა, რომ მისი ცემა მიხეილ სააკაშვილის პირადი ანგარიშსწორება იყო. ბურჯანაძემ დეპუტატ ვალერი გელაშვილის ცემის საქმეზე, რომელზეც ბრალი ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს აქვს წაყენებული, სასამართლოს ჩვენება მისცა.

როგორც ბურჯანაძემ აღნიშნა, დეპუტატის ცემის მოტივი იყო პირადი წყენა, რომელიც სააკაშვილს ამოძრავებდა.

— თავიდანვე არ იყო კარგი ურთიერთობა ჩვენს ხელისუფლებასა და გელაშვილს, პირადად გელაშვილსა და სააკაშვილს შორის. სახლი ჰქონდა გელაშვილს ავლაბარში, სადაც დაგეგმილი იყო პრეზიდენტის რეზიდენციის აშენება. გარკვეული მოლაპარაკებების შემდეგ ვალერი გელაშვილმა ქონება დათმო და, როგორც ვიცი, ამის სანაცვლოდ გარკვეული თანხა უნდა მიეღო. თუმცა, მას შემდეგ, რაც ვერ მიიღო შეპირებული თანხა, გელაშვილმა მოსთხოვა სააკაშვილს პირობის შესრულება. მე კარგად მახსოვს სააკაშვილის აღშფოთება ამაზე, რომ როგორ გაბედა მან თანხის მოთხოვნა მისგან. ამის შემდეგ დაიბეჭდა გელაშვილის ინტერვიუ ერთ-ერთ გაზეთში, სადაც სააკაშვილის მეუღლეს და ოჯახს არაკორექტულად მოიხსენიებდა. როგორც ჩანს, ეს იყო ბოლო წვეთი სააკაშვილისთვის, — განაცხადა ბურჯანაძემ.



მისივე თქმით, როდესაც საავადმყოფოში მივიდა ნაცემი დეპუტატის სანახავად, მაშინ უთხრა ვალერი გელაშვილმა, რომ მას სპეცრაზმი გაუსწორდა და ეს იყო პირადად მიხეილ სააკაშვილის შურისძიება.

როგორც ბურჯანაძემ აღნიშნა, გელაშვილმა მას ქვეყნის დატოვებაში დახმარება სთხოვა.

— როგორც კი წამოვედი საავადმყოფოდან, მაშინვე დავუკავშირდი სააკაშვილს და შევხვდი. მის კაბინეტში შედგა ეს შეხვედრა. ვუთხარი ის კითხვის ნიშნები, რაც ამ ფაქტზე იყო და დავაფიქსირე ჩემი აღშფოთება. ისიც აღშფოთდა და მითხრა — რა, არ იყო საცემი ვალერი გელაშვილი? მე ვუთხარი, რომ კი იყო საცემი, მაგრამ არა სახელმწიფო სტრუქტურის გამოყენებით. შეიძლება ეცემა მის მეგობარს, რომელიც, ასე ვთქვათ, სააკაშვილის ღირსებას დაიცავდა. სააკაშვილი ასევე ამბობდა, დიახ, სწორედ იმ ინტერვიუსა და ქმედებების გამო გაილახა ვალერი გელაშვილო. პირობა მომცა მიხეილ სააკაშვილმა, რომ სპეცრაზმს პირადი ანგარიშსწორებისთვის აღარ გამოიყენებდა, — განაცხადა ბურჯანაძემ.

# გიგა ქურხაშვილი: „დათო ოქიტაშვილი მეუბნებოდა, უშიშროება ჩემ მხარეზეაო. მასთან შალვა ხაჭაპურიძე და ხათუნა ხოფერია დამხვდნენ“

დათო ოქიტაშვილის უკვე ყოფილი თანაგუნდელი გიგა ქურხაშვილი აცხადებს, რომ პროფკავშირების თავმჯდომარეობის კანდიდატი ირაკლი პეტრიაშვილზე კომპრომატებს აგროვებს და ახალგაზრდა აქტივისტებს ირაკლი პეტრიაშვილის ნაცნობებისთვის გარდაცვლილი სანდრო გირგვლიანის ნაწამები ფოტოების გაგზავნას ავალებს კომენტარებით: „თქვენი მეგობარი პეტრიაშვილი მკვლელია“. გიგა ქურხაშვილმა გუშინ პრესკონფერენცია პროფკავშირებში გამართა.



ის ყვება, რომ ორი დღის წინ დავით ოქიტაშვილმა მას შეხვედრა შესთავაზა ჰოლიდეი ინში, სადაც ოქიტაშვილთან ერთად ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე და ხათუნა ხოფერია დახვდნენ.

— მაჩვენა კადრი, რომელზეც მითხრა, რომ ირაკლი პეტრიაშვილი და გერონტი ალანია იყო ქსნის ციხეზე გადაღებული, სურათში არაფერი ჩანდა. ვუთხარი, არაფერი ჩანს-მეთქი — ოქიტაშვილმა მიპასუხა, მაგას არა მნიშვნელობა აქვს, ამ ფაქტებს მე უშიშროება მაწვდისო და მთავარია, ეს კადრები გვაქვსო, ასევე მითხრა, პეტრიაშვილმა იცის კადრების არსებობა და მთხოვს, ოღონდ არ გაავრცელო და კანდიდატურას მოვხსნიო, ორი დღე მოიცადე და კანდიდატურას მოხსნისო.

მერე მითხრა, რომ ირაკლი პეტრიაშვილის სიძეზე უკვე დარეკილი ჰქონდა მაგის მინისტრთან და მაგას დღე-დღეზე გაათავისუფლებენ სამსახურიდან, აგერ ნახავ, თუ არაო.

მეორე თემა იყო, ზოგადად რას და როგორ ვაპირებდით არჩევნებთან დაკავშირებით, მითხრა — ჩათვალე, რომ გავიმარჯვეთო, არ ვიცი, იქ რამდენი დელეგატია და ეს არ მაინტერესებს, რადგან მთავრობის მხარდაჭერა მაქვს და გავიმარჯვებო. თვითონ მითხრა, რომ პროფკავშირებში მოსვლის შემდეგ თვითონ კულტურის მინისტრად გადავიდოდა და ამ თანამდებობას „ყველასთვის საყვარელი“ ხათუნა ხოფერია დაიკავებდა. ხათუნა ხოფერია „ჯიგარია“ და მეგობრობს „ქართულ ოცნებასთანო“.

7 სექტემბერს დამირეკა, მითხრა, გია ჟორჟოლიანი ირაკლი პეტრიაშვილის მფარველია პარლამენტშიო, მთხოვა, დამედო ჟორჟოლიანის ფოტოს ქვემოთ გარდაცვლილი გვირგვლიანის ფოტო და მიმეწერა, რომ გია მფარველობს მკვლელებს. საზოგადოებას გააგებინე ეს ყველაფერიო.

მე ვეუბნებოდი, რა გავაგებინო, ეს ყველაფერი მე რომ მომიტრიალდეს, რა გავაკეთო-მეთქი, მეუბნებოდა, ნუ გეშინია, მთელი უშიშროება ჩემს მხარესააო.

მე პროფკავშირების ახალგაზრდული ორგანიზაციის აქტივისტი ვიყავი, მაგრამ იქ ჩემი თავი ვერ ვიპოვე და რამდენიმე თვის წინ წავედი აქედან. მერე ოქიტაშვილის აქტივობა ვნახე და ვიფიქრე, რომ მასთან შევძლებდი თავის გამომჟღავნებას და ამიტომ დავუკავშირდი. მაგრამ იმ სიბინძურეში, რაც ოქიტაშვილთან დამხვდა, მე ვერ გავაგრძელებდი მუშაობას, — აცხადებს გიგა ქურხაშვილი.

**ნიუპოსტი**

## თბილისში რუსი ტურისტი გაძარცვეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ

თბილისში, ალექსიძის ქუჩაზე, რუს ტურისტს ფიზიკურად გაუსწორდნენ და გაძარცვეს.

თავდასხმა ტურისტზე გუშინ დილით მოხდა. რუსეთის მოქალაქეს, სავარაუდოდ, თავს 3 ადამიანი დაესხა თავს.

მამაკაცს მრავლობითი სახის დაზიანება აღენიშნება, მათ შორის თავისა და სახის არეში. დაშავებული საავადმყოფოშია გადაყვანილი.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლით აღიძრა, რაც ძარცვას გულისხმობს.

## ავარია ბორითთან




ხარაგაულის რაიონის სოფელ ბორითთან ერთმანეთს ორი მსუბუქი და ერთი სატვირთო ავტომობილი შეეჯახა. შემთხვევის შედეგად დაიღუპა ორი და დაშავდა ერთი ადამიანი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით მიმდინარეობს, რომელიც ითვალისწინებს ტრანსპორტის მოძრაობის ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

# მელორ ვაჩნაძე: „ჯაბა ჯიშკარიანის წარდგენაზე ლევან გოგიჩაიშვილი გვერდზე მედგა და ერთმანეთს არ მივესალმეთ. დაფიქრდით, ბიჭებო, ეს ცხოვრება იმდენად მოკლეა“







წარსულში პოლიტიკურად აქტიური მელორ ვაჩნაძე, რომელიც „ოცნების“ მთავრობის მოსვლის შემდეგ ციხიდან პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლდა, ფეისბუქის პირად გვერდზე ვრცელ და საკმაოდ სკანდალურ პოსტს წერს.

მასში მოიხსენიებს თავის ყოფილ თანამებრძოლებს, რომლებთან ერთადაც სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოდა და რომლებიც ახლა „ოცნების“ ხელისუფლებაში მაღალ თანამდებობებზე დაინიშნნენ, თუმცა ძველი მეგობარი დაივიწყეს.

ვრცელ პოსტთან ერთად, მელორ ვაჩნაძე რამდენიმე ფოტოსაც ავრცელებს, რომლებზეც ლევან გოგიჩაიშვილთან, დაჩი ცაგურიასთან, მიშა მესხთან და სხვებთან ერთადაა ასახული.

„არ ვიძახი, რომ ანგელოზი ვარ და არაფერი დამიშავებია საერთოდ, მაგრამ ვის ტვინში მოიხარშა, რომ ეს ზოგიერთ შემთხვევაში ათი წლის თანამებრძოლები ესე დავეშალეთ და გავეთითოკაცებინეთ... ალბათ ჩემი ბრალიცაა, რომ პატარ-პატარა კონფლიქტები, დიდში გადაიზარდა და კონკურენცია არაჯანსაღი გამხდარიყო...

ჯაბა ჯიშკარიანის წარდგენაზე ლევან გოგიჩაიშვილი გვერდზე მედგა და ერთმანეთს არ მივესალმეთ, არადა, ამდენი ბრძოლა ციხემდე... ერთად ოთხი წელი ციხეში... ერთმანეთს გლდანის ციხეში რომ შევხვდით, ისე გაგვიხარდა, თავისუფლება ვიგრძენით და ციხის მერეც 24 საათი ერთად მის წარდგენამდე. ალბათ მოთხოვნა იყო ვინმე პროპაგანდისტი მამის....

მართლა გული მწყდება ამ ყველაფერზე, არც თქვენი სკამი მინდა, არც თანამდებობა, მაგრამ ეს ერთ დროს ჩემი მეგობრები როგორ დამაკარგვინეთ? მთავრობას მივმართავ, ასე რამ გაგაბოროტათ? პიროვნებებს რომ ებრძვით და მეგობრები რომ გადაჰკიდეთ ერთმანეთს (ნაცებმა რაც ვერ მოახერხეს)?

ჯაბა, მართლა გამიხარდა შენი ზარი, მაგრამ ბევრი, 24 საათი ჩემს სახლში, ოფისში თუ მანქანაში რომ იყო და ოჯახის წევრად მიმაჩნდა, ერთხელ არ დარეკავს, არ იკითხავს, ცოცხალი ვარ, მკვდარი ვარ,... ორი შვილის მამა რითი ვცხოვრობ ან სად ვცხოვრობ.

მართალი იყო ერთი ჩემი უფროსი მეგობარი:... „ან უნდა ბევრი გქონდეს და სჭირდებოდე, ან ეშინოდეს“... 90% სიმართლეა არავის აღარც ეშინია (მთავრობას) და აღარც მაქვს მიშა მესხის, დაჩი ცაგურიას და ა.შ. ნაირებს ეხება (მოყვარეს პირში უძრახე...), მაგრამ ერთს ვიტყვი, თუ პირველი ნაბიჯი გადასადგმელია, მე გადავდგამ და ყველას ბოდიშს მოვუხდი, თუ რამე შემეშალა მეგობრობაში ან საქმეში (მიუხედავად იმისა, რომ ასე არ ვფიქრობ და თუ ვცდები, მიმითითეთ).

დაფიქრდით, ბიჭებო, ეს ცხოვრება იმდენად მოკლეა და მოულოდნელობებით სავსე, დანაშაულის დროულად აღიარება შეიძლება ვერ მოასწროს კაცმა!!!

**პ.ს.** ყველას გისურვებთ დიდ გამარჯვებებს და უფლის წყალობას!!! საჯაროდ ვდებ პირობას, რომ მე თქვენი მტერი არასოდეს გავხდები, სულ რომ ჩემი არსებობა იყოს ამაზე დამოკიდებული!!!

**პ.ს.ს.** მთავრობის იმ წევრებს, რომლებთან ერთადაც წლები ვიბრძოდი, ნუთუ ერთი სიტყვა არ დავიმსახურე, რომ შეგეწიათ ჩემთვის ან 4-წლიანი იგნორი რით დავიმსახურე? უბრალოდ, არ გიყვართ ამაყი და თავმოყვარე ადამიანები... (კაბინეტებთან ატუზვა ვერ დავამულამე, მე მაპატიეთ).

მე მრცხვენია თქვენი უტიფრობის მაგივრად!!!

თქვენი დავიწყებული მეგობარი: მ. ვაჩნაძე“.

**ამბები.გე**

# სირია: როდის დამთავრდება ომი?



ასადის მომხრეთა არმიამ რუსული ავიაციისა და ფლოტის დახმარებით ქალაქი დეირ-ეზ-ზორი დაიკავა. რუსეთის თავდაცვის მინისტრმა შოიგუმ პუტინს მოახსენა, რომ სირიაში გარდატეხა დაიწყო.

რუსეთის თავდაცვის მინისტრის სიტყვებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ომი სირიაში დასასრულს მიუახლოვდა და რუსეთმა გაიმარჯვა. პუტინმა მიაღწია იმას, რომ დიქტატორი ასადი, მიუხედავად მის მიერ ჩადენილი დანაშაულებისა, ხელისუფლებაში დარჩა. რუსულმა არმიამ მძლავრი დარტყმა მიაყენა ისლამურ სახელმწიფოს.

დეირ-ეზ-ზორის აღების შემდეგ ასადმა პოზიციები გაიმყარა, დაიბრუნა კონტროლი ნავთობით მდიდარ რაიონებზე. კრემლთან დაახლოებული პოლიტოლოგი მარკოვი წერს:

– სირიაში რუსეთმა ტრიუმფით გაიმარჯვა!

მეორე რუსი ექსპერტი, შუმილინი, რომელიც პუტინის მოწინააღმდეგეთა ბანაკს განეკუთვნება, ამას არ ეთანხმება. მისი აზრით, სირიაში რუსეთის არმიის შესვლის მიზანი შემდეგი იყო: 1) დონბასში მარცხის გადაფარვა; 2) ხელისუფლებაში ასადის დატოვება; 3) ტერორისტების განადგურება.

პუტინმა მართლაც მიაღწია პირველი და მეორე პუნქტის განხორციელებას. სირიამ დონბასი გარკვეულწილად გადაფარა. ალეპოს აღების შემდეგ, ახლა კი დეირ-ეზ-ზორთან მიღწეულმა წარმატებამ შექმნა ილუზია, რომ რუსეთის დიდება ბრუნდება. რაც შეეხება მესამე პუნქტს, ამის შესახებ შუმილინი წერს:

– ისლამისტების წინააღმდეგ ძირითად ბრძოლას აშშ-ის მეთაურობით შექმნილი კოალიცია ახორციელებს. ეს ბრძოლა როგორც სირიის, აგრეთვე ერაყის ტერიტორიაზეც მიმდინარეობს.

აშშ-ის ეგიდით შექმნილი კოალიციის ჯარებმა ტერორისტები ერაყის ყველა პროვინციიდან გააძევეს. ალყაში მოექცა ქალაქი რაქა, რომელიც ისლამურმა სახელმწიფომ თავის დედაქალაქად გამოაცხადა. რაქა დღე-დღეზე დაეცემა. შესაბამისად, ტერორიზმის პრობლემაც რუსეთის გარეშე გადაწყდება.

– დეირ-ეზ-ზორთან გამართული ბრძოლების მიზანია, შექმნას ილუზია, რომ ტერორისტებთან ბრძოლაში რუსეთმა თავისი წვლილი შეიტანა, – თვლის შუმილინი.




# ტრამპი: „ძალას მხოლოდ მას შემდეგ გამოვიყენებთ, როცა ყველა საშუალება ამოიწურება!“

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ჩინეთის ლიდერ ლი ცზინლინს დაუკავშირდა.

მასთან საუბრის შემდეგ ტრამპმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეასთან დაპირისპირებისას ყველა საშუალება არ არის ამოწურული.

– ჯერჯერობით ძალის გამოყენების აუცილებლობა არ არსებობს. ძალას მხოლოდ მას შემდეგ გამოვიყენებთ, როცა ყველა საშუალება ამოიწურება, – თქვა ტრამპმა.

# კატალონია 1 ოქტომბერს დამოუკიდებლობის რეფერენდუმს ჩაატარებს



კატალონიის პარლამენტმა 11-საათიანი დებატების შემდეგ მიიღო დადგენილება დამოუკიდებლობის რეფერენდუმის ჩატარების შესახებ. თანახმად ამ დადგენილებისა, რეფერენდუმი 1 ოქტომბერს ჩატარდება.

ესპანეთის მთავრობამ კატალონიის პარლამენტის დადგენილებას ანტიკონსტიტუციური უწოდა. მან მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს, რათა ხსენებული რეფერენდუმი შეაჩეროს. ესპანეთის პრემიერის აზრით, რეფერენდუმის ორგანიზატორები სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მიეცნენ.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# სურათების ქურდობაში ეჭვმიტანილი განაჩენს დემენციის წყალობით გადაურჩა

ამერიკის კონექტიკუტის შტატის ქალაქ ჰარტფორდის სასამართლომ განიხილა ქვეყნის ისტორიაში სურათების უდიდეს ქურდობასთან დაკავშირებით ეჭვმიტანილის ბრალეულობის საქმე.

აპრილში 81 წლის რობერტ ჯენტაილმა, მეტსახელად მზარეულმა, იარაღით უკანონო



ვაჭრობის ფაქტი აღიარა. გარიგების პირობები ექვს წლამდე პატიმრობას ითვალისწინებდა. თუმცა სასამართლოზე ჯენტაილის ადვოკატმა განაცხადა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი დანაშაულს არ აღიარებდა. პროკურორმა ვარაუდი გამოთქვა, რომ დემენციის სიმულირებას ახდენდა, რათა სასჯელი თავიდან აეცილებინა. მოსამართლემ გადაწყვიტა, განაჩენის გამოტანა გადაედო.

გამოძიების ფედერალურ ბიუროში ვარაუდობენ, რომ ჯენტაილი ბოსტონის იზაბელა სტიუარტ გარდნერის მუზეუმის ძარცვაში მონაწილეობდა, რომელიც 1990 წელს განხორციელდა. მაშინ ხელოვნების 13 ნაწარმოები იქნა მოპარული, რომელთა საერთო ღირებულებამ 500 მილიონი დოლარი შეადგინა. სამართალდამცავებმა ვერც მოპარული სურათებსა და ვერც მძარცველებს ვერ მიაგნეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჯენტაილმა გამოძიების ფედერალური ბიუროს ფარულ აგენტს უთხრა, რომ მას ხელი მინიმუმ ორ დაკარგულ სურათზე მიუწვდებოდა. მისი სახლის ჩხრეკის დროს იპოვეს მუზეუმიდან მოპარული ხელოვნების ნაწარმოებების სია, რომელშიც მათი ღირებულება იყო მითითებული, ასევე პოლიციელის ფორმა, რომელშიც შესაძლოა მძარცველი იყო გამოწყობილი.

სიცრუის დეტექტორზე შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ბოსტონის მუზეუმიდან მოპარული სურათების ფოტოსურათები ჯენტაილში მღელვარებას იწვევდა. ამის მიუხედავად, ის ამტკიცებს, რომ ძარცვის შესახებ მისთვის არაფერია ცნობილი და არ აღიარებს, თუ სადაა დამალული მოპარული სურათები.

ჯენტაილი მას შემდეგ დააპატიმრეს, როდესაც მან უკანონოდ მიჰყიდა ცეცხლსასროლი იარაღი მკვლელობისთვის სამჯერ ნასამართლევ პიროვნებას.

# ბრიტანეთში აუქციონზე კონფისკირებული ნივთები გაიყიდა

ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქ ბელფასტში პოლიციის მიერ კონფისკაციას დაქვემდებარებული ლუქსის ტიპის ნივთების სამთავრობო აუქციონი გაიმართა. ამ ინფორმაციას ბი-ბი-სი ნიუსი ავრცელებს.

გასაყიდად გამოტანილი ყველა ნივთი სამართალდამცავი ორგანოების მიერ საგამოძიებო მოქმედებების დროს იქნა ამოღებული ირლანდიის რესპუბლიკისა და გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე. აუქციონის პირობები მინიმალურ ფსონს არ ითვალისწინებდა.

სხვადასხვა გაყიდულ ნივთებს შორის იყო 20,5 ათას ფუნტ სტერლინგად გაყიდული ერთძრავიანი თვითმფრინავი. ავტომობილი პორშე კაიენი, რომელიც 25 ათას ფუნტად გაიყიდა. 16 მეტრი სიგრძის იახტა – დელფინო, რომელშიც 122 ათასი ფუნტი გადაიხადეს, ყველგანმავალი ჰამერი ჰ2 კი 12,2 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდა.

ასევე აუქციონზე 50 ცალი დიზაინერული საათი, ბრისტოლელი მხატვრის ენტონი ამოსის ნახატი და 1993 წლის ჩამოსხმა შამპანური Louis Roederer Cristal გაიყიდა. აუქციონის ორგანიზატორების თქმით, ლოტების 99 პროცენტი პოლიციის მიერ იქნა კონფისკირებული, ხოლო ზოგიერთი მათგანი კრიმინალური წარმომავლობისაა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*



**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ნანა ნადარეიშვილი:** მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

**ხვიჩა გოგია:** კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

**მზია დუნდუა:** მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

## ვასწავლი

- მოვამზადებ ინგლისურსა და რუსულ ენებში დიპლომატიური განათლებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, შეღავათიან ფასებში. მის.: ვაკის რაიონი, ფალიაშვილის ქ. №118. ტელ.: 593-90-73-13, თამარი.

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

- ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობა ჩვენს ხელთაა – კალცი აუცილებელია გონებრივი განვითარებისათვის, ძვლიან-კუნთოვანი ჩონჩხისთვის, იმუნიტეტისათვის. 95%-ით აითვისება ორგანიზმის მიერ. ტელ: 599-61-75-82.
- გინდა იყო მუდამ ჯანმრთელი? მთელი ორგანიზმის დიაგნოსტიკა – პრობლემების გამოვლინება ადრეულ სტადიაზე. აქცია თვის ბოლომდე, კუპონის წარმომადგენელს ფასდაკლება 30%. ტელ: 595-472-471.
- ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია ოზონატორი არის მთელი ოჯახის ჯანმრთელობის საწყისი: ხილისა და ბოსტნეულის დეზინფექცია; წყლისა და საბავშვო ჭურჭლის, სათამაშოების გაწმენდა. ტელ: 599-61-75-82.
- სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ჯობავა მსოფლიო თასზე ბრძოლას აგრძელებს



თბილისში მიმდინარე საჭადრაკო მსოფლიო თასის მეორე წრის პირველმა სათამაშო დღემ მშვიდობიანად ჩაიარა – 32 წყვილიდან 25 ფრე დაფიქსირდა და მხოლოდ 7 პარტია დასრულდა შედეგიანად.

ფრედ დაასრულა შეხვედრა საქართველოს ეროვნული ნაკრების ლიდერმა ბაადურ ჯობავამ ჩინეთის ნაკრების წევრ იუ იანგთან, რაც დაძაბული ტაი-ბრეიქის შემდეგ ნამდვილად კარგი შედეგია. მე-2 წრის მე-2 ტურში ქართველი დიდოსტატი თეთრი ფიგურებით ითამაშებს და გამარჯვების დიდი შანსი აქვს.

ტურის მთავარი სენსაცია მსოფლიოს ექსჩემპიონის, ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტის, გამოცდილი ვიში ანანდის, თეთრი ფიგურებით მარცხი გახდა კანადელ დიდოსტატ ანტონ კოვალიოვთან.

აგრეთვე ინტერესს იწვევდა ასპარეზობის ერთადერთი ქალის, მსოფლიოს ექსჩემპიონის, ჰოუ იფანის პარტია მრავალი საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებულთან ლევონ არონიანთან. პარტია საკმაოდ საინტერესო გაცვლების შემდეგ არ განვითარდა და მშვიდობიანი ყაიმით დასრულდა.

# ბოლტი მანჩესტერის ჩემპიონობაზე ფსონს აკეთებს



ლეგენდარულმა მძლეოსანმა უსეინ ბოლტმა მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, რომელიც ლონდონში გაიმართა, კარიერა დაასრულა.

ბოლტი ინგლისშივე დარჩა, როგორც მანჩესტერ იუნაიტედის გულშემატკივარი და მის თამაშებს ესწრება.

ბოლტი ფიქრობს, რომ იუნაიტედი პირველად არის ფავორიტი, რათა პრემიერ ლიგა მოიგოს.

შეგახსენებთ, რომ ჟოზე მოურინიოს შეგირდები სეზონის დასაწყისში უდანაკარგოები არიან, 3 თამაშიდან – 3 მოგება. გოლი კი მანჩესტერელებს ჯერ კიდევ არ გაუშვიათ.

# ფუტსალის ნაკრები რუმინეთთან პლეი ოფისთვის ემზადება



საქართველოს ფუტსალის ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის პლეი ოფის პირველი მატჩისთვის მზადება დაიწყო. ავთანდილ ასათიანის გუნდი 9 სექტემბრის ჩათვლით ოლიმპიურ სასახლეში ივარჯიშებს. ამ დროისთვის ნაკრები არასრული შემადგენლობით ემზადება. რამდენიმე ლეგიონერი ნაკრებს რუმინეთში შეუერთდება.

10 სექტემბერს საქართველოს ნაკრები რუმინეთში გაემგზავრება. ევროპის ჩემპიონატის პლეი ოფის პირველი მატჩი 12 სექტემბერს რუმინეთის ქალაქ დევაში ჩატარდება, განმეორებითი შეხვედრა კი – თბილისში 26 სექტემბერს. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონატის ორ საკვალიფიკაციო ეტაპზე წარმატებით იასპარეზა და პლეი ოფში რუმინეთთან თამაშის უფლება მოიპოვა, ხოლო გამარჯვების შემთხვევაში 2018 წელს საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს.

**საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა:**

**მეკარეები**: ზვიად კუპატაძე (გაზპრომ-იუგრა, რუსეთი), ალექსანდრე ჯამბურია (ტატიშვილი), თორნიკე ბუკია (სპარტაკი, რუსეთი), დავით კეპაშვილი (გერენია, კვიპროსი);

**წინა ხაზი**: ლევან კობაიძე, დავით ბობოხიძე, მურთაზ კაკაბაძე (ყველა ტატიშვილი), შოთა თოფურია, კახა მაისაია, ნუკრი ჭუმბურიძე (ყველა თელასი), გია ნიყვაშვილი (აგორა), ნიკა კურტანიძე (თსუ), არჩილ სებისკვერაძე, ირაკლი თოდუა (ორივე ლიდსელმაში, ბელარუსი), რონინიო და სილვა (ხერსონი, უკრაინა), ზურაბ ლუკავა, შოთა ჭანუყვაძე (ორივე სვეიკი, მალტა), გიორგი ნიშნიანიძე (პოლიტეხი, რუსეთი).

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## შედეგები

**6 სექტემბერი**

**კალათბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| გერმანია-ლიტვა | 72:89 |
| საქართველო-იტალია | 69:71 |
| ისრაელი-უკრაინა | 64:88 |
| სლოვენია-საფრანგეთი | 95:78 |
| საბერძნეთი-პოლონეთი | 95:77 |
| ფინეთი-ისლანდია | 83:79 |

**ჩოგბურთი**

**ამერიკის ღია პირველობა**

**კაცები**

ფედერერი-დელ პოტრო 5:7,6:3,6:7,4:6

**ქალები**

კიზი-კანეპი 6:3,6:3

# საქართველო ევროპას დაემშვიდობა, ფაჩულია – ნაკრებს

**საქართველო-იტალია 69:71**

**(10:27, 20:11, 17:20, 22:13)**



საქართველოს ეროვნული ნაკრები ევრობასკეტს დაემშვიდობა. მოგება ლიტვასთან და ისრაელთან, წაგება გერმანიასა და უკრაინასთან. ბოლო, გადამწყვეტი დაპირისპირება იტალიასთან, რომელშიც ქართველებმა ბოლომდე იბრძოლეს, 19-ქულიანი ჩამორჩენა გააბათილეს და ბოლო წუთზე წინაც გავიდნენ, თუმცა...

თავიდან ბევრ შეცდომას ვუშვებდით, იტალიელებს კი ყველაფერი გამოსდიოდათ და 16:2. შემდეგ თითქოს გამოვასწორეთ, მაგრამ წუთიერად და მეოთხედის ბოლომდე სხვაობა მაინც გაიზარდა – 10:27.

მეორე პერიოდი კიდევ უფრო ცუდად დავიწყეთ და სხვაობა 19 ქულამდე ავიდა, ხოლო როდესაც ანგარიში 33:15 იყო იტალიელთა სასარგებლოდ, საქართველოს ნაკრებმა აიწყვიტა და 15:0 გაქცევა მოაწყო. ანგარიში 30:33 გახდა. თუმცა, ტაიმის დასრულებამდე რამდენიმე შეტევა გავაცუდეთ, რითაც იტალიამ ისარგებლა და შესვენებისას 8-ქულიანი ჰანდიკაპი მიიღო – 38:30.

მესამე პერიოდის დასაწყისში სხვაობა 4 ქულამდე ჩამოვიყვანეთ და გავჩერდით – აპენინელებმა დასკვნითი 10-წუთეულის წინ 11-ქულიანი უპირატესობა მიიღეს.

ბოლო მეოთხედში სხვაობა კიდევ გაიზარდა – 65:51 იტალიელთა სასარგებლოდ. ძალიან რთულია ასეთ დროს თამაში ხელმეორედ შემოატრიალო, მაგრამ ქართველებმა შეუძლებელი შეძლეს, მეტოქეს ამჯერად 13:0 გაქცევა მოუწყვეს და 2 წუთით ადრე ანგარიში 63:65 გახდა. შემდეგ კი მეტოქეებმა ორქულიანები გაცვალეს – 65:67.

ეს ფინალამდე წუთ-ნახევრით ადრე მოხდა. მატჩის დასრულებამდე ზუსტად წუთით ადრე დიქსონმა 3-ქულიანით წინ გაგვიყვანა – 68:67. 40 წამით ადრე ჰაკეტმა ჩაგვიგდო 68:69, ფაჩულიამ კი მეტოქის ფარქვეშ ბურთი დაკარგა და ტაქტიკური ჯარიმები ავიღეთ. 14 წამით ადრე საჯარიმო ხაზზე არადორი დადგა და მხოლოდ ერთი მცდელობა გამოიყენა – 68:70.

ბოლო შეტევის წინ ილიას ზუროსმა ტაიმაუტი აიღო. სამწუხაროდ, დიქსონის 3-ქულიანი უზუსტო გამოდგა და ფინიშამდე 6 წამით ადრე იმავე არადორიმ კვლავ ერთი ჯარიმა გამოიყენა – 68:71. იტალიელებმა, 3-ქულიანი რომ არ გვესროლა, ჯარიმა აიღეს, სასროლად დიქსონი დადგა. პირველი ჩააგდო, მეორე შეგნებულადააცილა, ფაჩულიამ მოხსნა და ფარქვეშ მყოფ შერმადინს გადააწოდა, მაგრამ ქართველ ცენტრს მეტოქემ დააფარა და 69:71 დავმარცხდით.

საქართველო ჯგუფის ბოლო მატჩში ისრაელის იმედად დარჩა.

მასპინძელმა ისრაელმა უკრაინასთან თეთრი დროშა გამოფინა და უკრაინა პლეი ოფში შეატარა. საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატს დაემშვიდობა, რაც 5 დღის წინ, ლიტვასთან მოგების შემდეგ, თითქმის წარმოუდგენელი ჩანდა.

იტალიასთან მატჩი ბოლო გამოდგა საქართველოს ეროვნული გუნდის კაპიტან ზაზა ფაჩულიასთვის, რომელმაც სანაკრებო კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

**ზაზა ფაჩულია:**

– საქართველოს ნაკრების მაისურით 17 წელი ვითამაშე და ამ გუნდმა ოთხ ევროპის ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა. ახლა, დროა, ადგილი ახალგაზრდებს დავუთმო. ძალიან რთულია დატოვო ის რაც მრავალი წელი შენ ბიჭებთან ერთად მხრებით მოიტანე. ბ დივიზიონიდან ევროპამდე არ იყო მარტივი გზა დამეთანხმებით. 17 წლის განმავლობაში იყო მრავალი წარმატება, წარუმატებლობაც, ყოველთვის უკეთესის მოლოდინი, მაგრამ, ეს არის ის, რაც ჩვენ გამოგვიდა და დანარჩენს, დიდი იმედი მაქვს, მომავალი თაობები გააგრძელებენ. ძალიან მინდოდა სხვანაირი დასასრული, მაგრამ, სამწუხაროდ, ტრავმამ მეტის საშუალება არ მომცა, მაგრამ სურვილი და გამარჯვების ჟინი არასდროს დამიშურებია. ყველაზე ძალიან გული მწყდება გულშემატკივარზე, რომლის თანადგომას ეს ნაკრები ყოველთვის გრძნობდა და პირადად მე ჩემი კარიერის განმავლობაში. მინდა, ძალიან დიდი მადლობა გადაგიხადოთ თითოეულ თქვენგანს, თქვენ უფრო დიდ სიხარულს იმსახურებდით და კვლავ მომავლის იმედით. ახლა კი მშვიდობით, ჩემო ნაკრებო და გულშემატკივარო, კაპიტნის წასვლის დროც მოვიდა! ეს ოქროს წლები არასდროს დამავიწყდება.

# ნოიერი ბრუნდება, ალაბა ერთ თვეს იუქმებს



სასიამოვნო ინფორმაცია ვრცელდება მიუნხენის ბაიერნის მოყვარულთათვის – გუნდს უბრუნდება მანუელ ნოიერი, რომელმაც ბოლო 4 თვე გამოჯანმრთელებას მოანდომა და, სულ რაღაც 1 კვირაა, რაც გუნდს დაუბრუნდა.

გუნდის მეკარე და კაპიტანი მანუელ ნოიერი ყვება, რომ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ მატჩში მადრიდის რეალთან იძულებული იყო მოტეხილი ფეხით გაეგრძელებინა თამაში და იძულებული იყო მთელი 120 წუთი ეთამაშა, რადგან კარლო ანჩელოტის 3 შეცვლა უკვე განხორციელებული ჰქონდა.

**მანუელ ნოიერი:**

– სათადარიგო სკამზე კვლავ აქტიურობა შეინიშნებოდა, რადგან მოედნის დატოვება მსურდა, მაგრამ ჩვენ უკვე 3 შეცვლა გაკეთებული გვქონდა. ჩემს თავში ახალი წესი ტრიალებდა, რომ დამატებით დროში შესაძლებელი იქნებოდა მე-4 ცვლილების განხორციელება, მაგრამ ეს მხოლოდ გერმანიის თასის ფარგლებში და არა ჩემპიონთა ლიგაზე. ამიტომ თამაშის გაგრძელება მომიწია, თუმცა ფეხით დარტყმაც კი არ შემეძლო. ჩემი თანაგუნდელებიდან კი რამდენიმე პასიც კი მივიღე! ეს სრულიად გიჟური სიტუაცია გახლდათ, ამიტომ მაშინვე მივხვდი, რომ ფეხი მოტეხილი მქონდა.

2016-17 სეზონის ბოლოს, ფილიპ ლამისა და ხაბი ალონსოს კარიერის დასრულების შემდეგ, ნოიერი ბავარიულ კლუბში ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი და ასაკოვანი ფეხბურთელია, იმის მიუხედავად, რომ ანჩელოტის გუნდს მხოლოდ 5 ფეხბურთელი ჰყავს 30 წლის და მასზე ზევით, ნოიერი უარყოფს იმ მოსაზრებას, რომ ბაიერნმა გამოცდილება დაკარგა.

– მე ამის არ მჯერა. ჩვენ გამოცდილი ფეხბურთელები დავკარგეთ, მაგრამ, ჩვენს გუნდს თუ შეხედავთ, ბევრი გვყავს 26 და 27 წლის ზევით. ჩვენ ყველა გამოწვევისთვის ვართ მზად. ეს ესპანეთის ნაკრებს ჰგავს, რომელმაც 2008, 2010 და 2012 წლებში ევროპის ჩემპიონატები და მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო. ჩვენ დიდებული გუნდი გვყავს, რომელსაც შესწევს ძალა, ბევრს მიაღწიოს, – ამბობს კაპიტანი.

რადგან გამოჯანმრთელებულ ფეხბურთელზე გესაუბრეთ, აქვე იმასაც გეტყვით, რომ ბავარიელებს 1 თვით დააკლდება დავიდ ალაბა. მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე დავიდ ალაბას ავსტრია საქართველოს ნაკრებს შეხვდა, სადაც ორივე გუნდმა მხოლოდ ქულის მოპოვება შეძლო. ქულების დაკარგვის გარდა, ალაბამ მატჩში მარცხენა ფეხის მტევანიც დაიზიანა.

ბაიერნის მარცხენა მცველმა მატჩის 38-ე წუთზე მიიღო ტრავმა და მოედანი დატოვა. როგორც გერმანული ინტერნეტგამოცემები იუწყებიან, ავსტრიელი დაახლოებით 1 თვეს გამოტოვებს.

# სერია ა-ს მდიდრები – ბონუჩი და ალეგრი

გაზეტა დელო სპორტმა იმ ფეხბურთელების სია გამოაქვეყნა, რომლებიც სერია ა-ში ხელფასისა და ბონუსების სახით ყველაზე მეტ თანხას გამოიმუშავებენ.

პირველ პოზიციას ტურინის იუვენტუსის ექსმცველი, ამჟამად მილანის წევრი ლეონარდო ბონუჩი იკავებს, რომლის ანაზღაურებაც 8 მილიონ ევროზე ოდნავ ნაკლებია, თუმცა ბონუსების დამატებით 10 მილიონ ევროს უახლოვდება.



ყოველწლიურად 7.5 მილიონით ისქელებს ჯიბეს ბიანკონერების ფორვარდი გონსალო იგუაინი. მესამე პოზიციაზე პაულო დიბალაა, ახალი კონტრაქტის ძალით არგენტინელი 7 მილიონ ევროს იღებს, 6 მილიონი ევროა დუგლას კოშტას ხელფასი, ამდენივეს გამოიმუშავებს ჯანლუიჯი დონარუმაც.

რაც შეეხება მწვრთნელებს, იუვენტუსი აქაც ლიდერია – მასიმილიანო ალეგრის ანაზღაურება 7 მილიონი ევროა, ლუჩიანო სპალეტი კი – 4 მილიონი.

2017, 8 სექტემბერი, №213

# ეროვნულ ბიბლიოთეკაში წიგნის მუზეუმი გაიხსნება



ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ მუზეუმში სულ მალე წიგნის მუზეუმი გაიხსნება.

ინფორმაცია ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ გაავრცელა:

– ძალიან მალე, შემოდგომის დასრულებამდე, ჩვენი ერთი დიდი ოცნება ახდება! ეროვნულ ბიბლიოთეკაში წიგნის მუზეუმს გავხსნით! წიგნის მუზეუმი, თავის მხრივ, ოთხი ნაწილისგან შედგება: ეს არის საკუთრივ იშვიათ, ძველ ან გამორჩეულ გამოცემათა მუზეუმი, ილია ჭავჭავაძის დარბაზი, „ვეფხისტყაოსნის“ მუზეუმი და ულტრათანამედროვე საცავი.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# მოდის სახლები მეტისმეტად გამხდარ და ახალგაზრდა მოდელებზე უარს ამბობენ



ფრანგული კომპანიები LVMH და Kering, რომლებსაც ათეულობით მოდური ბრენდი ეკუთვნით, შეთანხმდნენ, რომ უარი თქვან მეტისმეტად გამხდარ ან ახალგაზრდა მოდელებთან თანამშრომლობაზე.

კომპანიებმა შეადგინეს წესების სია, რომელიც გარანტიას იძლევა, რომ მოდელების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას საფრთხე არ დაემუქრება. ისინი კრძალავენ სამსახურში აიყვანონ მანეკენი გოგონები, რომელთა ტანსაცმლის ზომა 34-ზე ნაკლები იქნება და მამაკაცი მანეკენები, რომელთა ტანსაცმლის ზომა 44-ზე ნაკლები იქნება. მოდელი 16 წელზე ნაკლები ასაკის არ უნდა იყოს, ამასთან, 18 წლის შესრულებამდე მას თან უნდა ახლდეს მოზრდილი და აკრძალული აქვთ სპირტიანი სასმელების მიღება.

# გიორგი სუხიტაშვილს ჭორებს უვრცელებენ



მომღერალ გიორგი სუხიტაშვილს ჭორებს უვრცელებენ. სიმართლესთან შეუსაბამო ამბებზე საწინააღმდეგოს მტკიცებამ იმდენად დაღალა, რომ მომღერალმა სოციალურ ქსელში სპეციალური განცხადება გააკეთა:

– არ მომიყვანია ცოლი!

არააა!

არც გავთხოვილვარ!

არც სადმე ჩავსიძებულვარ ვინმეს. არც ვინმესთან ერთად არ ვცხოვრობ, ნუ ლუტუს, ჩემს ძაღლს თუ არ ჩავთვლით.

ნუ წუხდებით! და ნურც მე მაწუხებთ! ვააააა ბიჯოოოოო!

ან სად მნახეთ ასეთ ვითარებაში? ან მსგავსში?

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ჩინელმა მასწავლებელმა კლასიკური პოეზიის არცოდნისთვის 20 მოსწავლეს სცემა




ჩინეთის ანჰოის პროვინციის ქალაქ ჰეფეიში მასწავლებელმა უფროსკლასელი მოსწავლეები კლასიკური პოეზიის ცუდი ცოდნის გამო ცემა.

ინციდენტი 1 სექტემბერს მოხდა. მასწავლებელმა მოსწავლეები დაფასთან გაიწვია და სახეში ურტყამდა მათ, რომლებიც უშეცდომოდ ზეპირად ვერ წერდნენ ლექსს. ამგვარად 20 მოსწავლე იქნა დასჯილი.

ერთ-ერთმა მოსწავლემ დასჯის სცენა მობილური ტელეფონით გადაიღო და ინტერნეტში განათავსა. ამის შედეგად მასწავლებელი საქმიანობას დროებით ჩამოაშორეს.

# ჩინეთის სოფელში ძაღლი ტახტრევნით გაასეირნეს



ჩინეთის პროვინცია გუიჩჟოუს სოფელ ცზიაობანის ქუჩებში ტახტრევანი ჩამოატარეს, რომელშიც პერანგით შემოსილი ძაღლი იჯდა, თავზე კი ქუდი ეხურა.

ეს ყოველივე ტრადიციული ფესტივალის ფარგლებში გაიმართა, რომელსაც მიაოს ხალხი ზეიმობს. ლეგენდის თანახმად, პირველი ადამიანები, რომლებიც ამ მხარეში დასახლდნენ, წყურვილით იხოცებოდნენ, სანამ მათ ძაღლმა წყარო არ აპოვნინა. მათ ეს მის ღვთიურ წარმომავლობად მიიჩნიეს და მას შემდეგ ძაღლებს ეთაყვანებიან.

ყოველ წელს სოფელში იმართება აღლუმი, რომლის დროსაც ტახტრევანში სვამენ პერანგსა და ქუდში გამოწყობილ ძაღლს. სიმღერისა და დოლის თანხლებით სოფლის მცხოვრებლები ტახტრევანს ბრინჯის დატბორილ მინდორში დაატარებენ, დანარჩენები კი ერთმანეთს ტალახს ესვრიან. ამ აღლუმს ხელმძღვანელობს სამანი. სოფლის მცხოვრებლები ქუჩებში გამოდიან, რათა ცხოველს მადლობა გადაუხადონ და მომავალი წლისთვის კარგი მოსავალი შეავედრონ.

# ავსტრალიელმა აქლემთან დაჯახების შემდეგ დახმარების ძებნაში 100 კილომეტრი გაიარა

ავსტრალიელს დაახლოებით 100 კილომეტრის გავლა მოუწია დახმარების ძებნაში, მას შემდეგ, რაც თითქმის დაუსახლებელ რაიონში ავარია შეემთხვა. ამ ინფორმაციას ადგილობრივ ხელისუფლებაზე დაყრდნობით ბი-ბი-სი ნიუსი ავრცელებს.

21 წლის ტომას მეისონი ქალაქ ალისსპრინგში ავსტრალიელი აბორიგენების რეზერვაციაში მუშაობის შემდეგ ბრუნდებოდა. ახალგაზრდა სამხრეთ ავსტრალიისა და ჩრდილოეთის ტერიტორიების დამაკავშირებელ ტრასაზე გადაადგილდებოდა, როდესაც მას გზაზე აქლემების ჯოგი გადაეყარა. ის შეეცადა მათთვის გვერდი აევლო, მაგრამ ამის გაკეთება ვერ შეძლო და ერთ-ერთ ცხოველს დაეჯახა. შედეგად მისი მანქანა გადაბრუნდა.

ავარიის შედეგად მეისონი უახლესი ქალაქიდან 150 კილომეტრის დაშორებით, სრულიად მარტო აღმოჩნდა. ის იძულებული გახდა, დაახლოებით ორი დღის მანძილზე ფეხით ევლო, სანამ სამაშველო ჯგუფმა ის ქალაქ იულარიდან 37 კილომეტრში არ აღმოაჩინა. ეს კი მას შემდეგ მოხდა, როდესაც ახალგაზრდის მშობლებმა განგაში ატეხეს. ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლის მტკიცებით, ახალგაზრდა მართალია გადაღლილი და მწყურვალი იყო, მაგრამ მთლიანობაში, სულიერად საოცრად მტკიცედ გამოიყურებოდა.



თავად მეისონის თქმით, მას თან მხოლოდ ტანსაცმელი და ფანარი ჰქონდა, ხოლო ამ რაიონში კავშირგაბმულობა არ არსებობდა. მობილურ ტელეფონს მიღება არ ჰქონდა. გზაში ახალგაზრდას გაუმართლა, მან ავზი და წყლით სავსე ბოთლი იპოვა, ხოლო როდესაც ეს მარაგი გაუთავდა, იძულებული გახდა, თავის გადასარჩენად საკუთარი შარდი დაელია.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ამერიკელმა კასტინგზე ორი ცოცხალი ობობა შეჭამა




ამერიკელმა დენიელ რობერტსმა ორი ცოცხალი „შავი ქვრივის“ სახეობის ობობა მაყურებლების თვალწინ შეჭამა, რათა სამუშაო მიეღო. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული ტელეარხი ავრცელებს.

მამაკაცი ყოველწლიურ კასტინგზე მივიდა, ღონისძიებაზე, რომელზეც ჰელოუინზე მასობრივი გამოსვლებისთვის მონაწილეობის პრეტენდენტთა შერჩევა ხდება. ტელეარხის გადამღები ჯგუფისთვის თავისი შესაძლებლობები რობერტსმა საგანგებოდ წარმოადგინა.

თავდაპირველად მან სპეციალური წამალი მიიღო, რათა შავი ქვრივის შხამს მისთვის ზიანი არ მიეყენებინა. დემონსტრაციის დროს რობერტსმა ობობებს საშუალება მისცა, მის სახესა და პირის ღრუში ემოძრავათ, შემდეგ კი ორივე შეჭამა.

# ასტროპროგნოზი

## 8 სექტემბერი



**ვერძი** – დაკისრებულ საქმეს მთელი სერიოზულობით მიუდექით. დაძაბულობა იმატებს. **კურო** – იაქტიურეთ. შემოქმედებითად დატვირთული დღეა. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **ტყუპები** – დიდი ცვლილებების დრო მოახლოვდა. კეთილისმყოფელი პერიოდია საქმიანი მოლაპარაკებებისათვის. **კირჩხიბი** – საკუთარი ძალების მიმართ რწმენას კარგავთ. ამის მიუხედავად, დღეს სასიამოვნო ახალი ამბები გელით. **ლომი** – კოლეგების მიმართ ლოიალურობა და შემწყნარებლობა გმართებთ. ასე მოსალოდნელ კონფლიქტს თავიდან აიცილებთ. **ქალწული** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება, თუმცა ახალი საქმის დასაწყებად შეუფერებელი დღეა. **სასწორი** – გადაწყვეტილების მიღებისას არ აჩქარდეთ. ეცადეთ, ძველი საქმეები დღეს შეძლებისდაგვარად დაამთავროთ. **ღრიანკალი** – ფულს ნუ გაფლანგავთ. მხოლოდ საჭირო ნივთი შეიძინეთ. დღის მეორე ნახევარში სულიერ სიმშვიდეზე იზრუნეთ. **მშვილდოსანი** – ნუ გადაიღლებით. საკუთარ თავზე ზედმეტ პასუხისმგებლობას ნუ აიღებთ. ფინანსური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **თხის რქა** – საქმიანი შეხვედრებისათვის სხვა დრო შეარჩიეთ. დღეს უმჯობესი იქნება, სპორტით დაკავდეთ და ფიზიკურად დაიტვირთოთ. **მერწყული** – გაუთვალისწინებელ ხარჯებს ერიდეთ. პირად ცხოვრებაში წინააღმდეგობრივი ტენდენციები იჩენს თავს. **თევზები** – ნერვებს გაუფრთხილდით. ემოციების აყოლა არ გარგებთ. მცირეოდენი ვარჯიში და სუფთა ჰაერზე სეირნობა საკმაოდ გაგახალისებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ფაიფურის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 2. მამაკაცთა თავშეყრის ადგილი სოფლად; 3. ერთი და იგივე ქიმიური ელემენტის არსებობა სხვადასხვა მარტივი ნივთიერების სახით; 4. დაბალი რანგის დიპლომატი; 5. ასირიის ლეგენდარული დედოფალი; 10. დიდი სამგზავრო-სატრანსპორტო გემი; 11. სპორტის სათამაშო სახეობა; 12. კუთხე საქართველოში; 13. ფასიანი ქაღალდების კურსის დაწევა; 16. რაიმე საგნის, მოვლენის ძირითადი თვისებების დამახასიათებელი სიდიდე; 17. სამცხის მმართველთა საგვარეულო; 19. დედამიწის ამა თუ იმ წერტილის სიმაღლე ზღვის დონიდან; 21. საერთაშორისო სამეცნიერო კვლევის ცენტრი შვეიცარიაში; 23. შაქრით, ჩაით, ლიმონის წვენით შეზავებული ცხელი რომი.

**თარაზულად**: 6. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ქართველი მოჭიდავე; 7. ჰაგიოგრაფიული თხზულება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორი; 8. ღვინის საბატონო გადასახადი ძველად საქართველოში; 9. თურქეთის პრეზიდენტი; 14. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი სომხეთში; 15. საერთაშორისო ხელშეკრულების შესავალი ნაწილი; 18. ლუდის სასმისი; 20. რაჭა-ლეჩხუმის ძველი სახელწოდება; 22. ეგვიპტელი ქრისტიანები; 24. მაღალმთიანი კურორტი აჭარაში; 25. ძველი ბერძენი ისტორიკოსი, გეოგრაფი; 26. იაპონური ელექტროტექნიკური კონცერნი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მარაბდა; 2. პლისკა; 3. სალამანკა; 4. გელათი; 5. პიგმენტი; 7. ჟაკო; 11. დუმბაძე; 13. ჭორვილა; 15. დუნაი; 16. სამბა; 18. ლარდი; 19. კრუპი.

**თარაზულად:** 6. ადაჟიო; 8. კლოშარი; 9. პალანგა; 10. ბომონდი; 12. ჰალვა; 14. ლიკანი; 17. კარალიოკი; 20. ფხაკაძე; 21. კარატე; 22. დნეპრი; 23. ბასტილია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დამბაჩა; 2. ამნისტია; 3. ანჩისხატი; 4. თავთუხი; 5. ბაკხანალია; 10. რაბათი; 11. საქსაული; 12. კაიზერი; 13. პრუდონი; 16. პორტოფინო; 17. ბოლერონი; 19. ავტობანი; 21. ელისო; 22. მოცვი.

**თარაზულად:** 6. კატამარანი; 7. ლაქტოზა; 8. ზაჰესი; 9. ესპანური; 14. თრიალეთი; 15. ტრიპიტაკა; 18. სილვა; 20. პოლგარი; 22. ვიმპელი; 24. ალონსო; 25. ყინწვისი; 26. დივანი.

# კოტე თოლორაია 91 წლის ასაკში გარდაიცვალა



მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი კოტე თოლორაია 91 წლის ასაკში გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია მისი გარდაცვალების შესახებ თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა და რეჟისორმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა გაავრცელა:

– არაჩვეულებრივი კაცი, საოცრად თბილი და სიკეთით სავსე, ბატონი კოტე თოლორაია გარდაიცვალა. პანაშვიდი 8 და 9 სექტემბერს ქავთარაძის 17-ში. დაკრძალვა კვირას (ეკლესია ზუსტდება).

კოტე თოლორაიამ მთელი თავისი ცხოვრება ქართულ თეატრსა და კინოს მიუძღვნა. გადაღებულია 25-მდე ფილმში, მარჯანიშვილის თეატრში კი არაერთ სპექტაკლში ითამაშა.

კოტე თოლორაია თამარ სხირტლაძის მეუღლე და თაზო თოლორაიას მამა იყო. შვილის გარდაცვალების შემდეგ კი სახლში ჩაიკეტა და საკუთარ პროფესიასაც ჩამოშორდა.

# ცირა კობიაშვილმა ახალი კლიპი თურქეთში გადაიღო




მუსიკალური შოუს „იქს ფაქტორის“ მონაწილე ცირა კობიაშვილმა პროექტის დასრულების შემდეგ საყვარელ საქმეზე უარი არ თქვა და ახალი სიმღერები ჩაწერა.

როგორც მომღერალმა ჟურნალისტებს განუცხადა, მისი შემოქმედებით თურქი პროდიუსერები დაინტერესდნენ, ამიტომ ზაფხული მისთვის საკმაოდ დატვირთული აღმოჩნდა.

ცირამ ორი სიმღერა ჩაწერა, ერთზე კლიპი გადაიღო და მისი პრემიერა 8 სექტემბერს არის დაგეგმილი. კლიპის პრემიერა თურქეთისა და ევროპის ტელევიზიებსა და რადიოებში გაიმართება.

# სამგლოვიარო განცხადებები



ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ყოფილი მთავარი მეცნიერთანამშრომელი, გამოჩენილი სპეციალისტი დედამიწის ქერქისა და ზედა მანტიის სიღრმითი აგებულების შესწავლაში, მ. ალექსიძის სახელობის პრემიის ლაურეატი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი

**გურამ გუგუნავა**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

თამარ ვეფხვაძე-დგებუაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება კეთილშობილი, ერთგული ძმისა და მეგობრის, კარგი მეუღლის, მამის, ბაბუის, გამორჩეულად უკეთილშობილესი, თავმდაბალი, უხმაურო, თავაზიანი, ყველას უზომოდ მოსიყვარულე პიროვნების

**გენო ჯობავას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს, ახლობლებსა და თითოეულ გალელს.

მწამს, იმქვეყნიური წუთისოფლიდან შენი და რენალდის სულები ილოცებენ თქვენი ახლობლებისთვის და ჩვენი აფხაზეთში ღირსეულად დაბრუნებისათვის.

მშვიდობით, ბატონო გენო, ღმერთმა ნათელი დაგიმკვიდროს, მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა!

---

გალის რაიონის ინტელიგენცია და საზოგადოება „სამურზაყანო“ ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**გენო ჯობავას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს, ახლობლებსა და სამეგობროს.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

# ხატია ბუნიათიშვილის კონცერტზე ბილეთები სრულად გაიყიდა



14 სექტემბერს მსოფლიოში ცნობილი ქართველი პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი წინანდლის ფესტივალის სტუმარი იქნება. ხატია ქართველი მსმენელის წინაშე მაესტრო ზუბინ მეტასა და ისრაელის ფილარმონიის ორკესტრთან ერთად წარდგება.

წინანდლის ფესტივალი ერთ-ერთმა კომპანიამ საქართველოს სახელმწიფოსთან ერთად დააფუძნა. წინანდლის მამულში აშენდა ახალი, 1000 მაყურებელზე გათვლილი ამფითეატრი, სადაც კონცერტი გაიმართება.

ხატია ბუნიათიშვილი კლასიკური მუსიკის მოყვარულებისთვის ჯორჯე ენესკუს, რობერტ შუმანისა და პეტრე ჩაიკოვსკის ნაწარმოებებს შეასრულებს.

როგორც ფესტივალის ერთ-ერთმა დამაარსებელმა, რეჟისორმა დავით საყვარელიძემ განაცხადა, ზუბინ მეტასა და ისრაელის ფილარმონიის ორკესტრის თბილისში ჩამოყვანა უშუალოდ ხატიას იდეა იყო.

კონცერტზე დასასწრები ბილეთები ელვის სისწრაფით სრულად გაიყიდა. მსმენელთა დიდი მოთხოვნის მიუხედავად, ორგანიზატორებს დამატებითი ბილეთები გაყიდვაში არ ჩაუშვიათ.

# რუსუდან ფეტვიაშვილის მხატვრობით ცნობილი ბრენდი დაინტერესდა




„ვილეროი და ბოხი“ ქართველი მხატვრის რუსუდან ფეტვიაშვილის მხატვრობით დაინტერესდა. მათი თანამშრომლობა უკვე დაწყებულია და ამ ეტაპზე მხოლოდ ქართული ბაზრისთვის არის გათვლილი, თუმცა, არ არის გამორიცხული, მათი თანამშრომლობა უცხოეთშიც გაგრძელდეს.

„ვილეროი და ბოხის“ ჭურჭელზე რუსუდან ფეტვიაშვილის ნახატები გადაიტანეს და გარკვეული რაოდენობით გამოუშვეს.

„სიყვარული და ჰარმონია ურთიერთობაში“ – ასე ეწოდება კოლექციას, რომელზეც რუსუდან ფეტვიაშვილის ნამუშევრებია დატანილი.

რუსუდან ფეტვიაშვილმა ხატვა 2 წლის ასაკიდან დაიწყო და თავისი ორიგინალური ნამუშევრებით საზოგადოების ყურადღება მაშინვე მიიპყრო. მისი ნახატები იფინება და როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში. მისი ილუსტრაციებით გამოცემულია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, „ქართული ზღაპრები“, ეკა ბაქრაძის ლექსების კრებული... ქართველი მხატვარი კემბრიჯის ბიოგრაფიული ცენტრის მიერ გამოშვებულ წიგნში „XX საუკუნის მსოფლიოს 2000 გამოჩენილი ადამიანი“ შეიყვანეს.

„ვილეროი და ბოხი“ გერმანული კომპანიაა და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულია თავის სფეროში. იგი პრემიუმ ხარისხის კერამიკის ნაწარმს უშვებს. გერმანული კომპანია „ვილეროი და ბოხი“ 1748 წელს დაარსდა და ამ დროიდან 120-ზე მეტ ქვეყანაში მომხმარებელს უმაღლესი ხარისხის პროდუქციას სთავაზობს.

# ჯემალ დემურაძე 3 წლის ანის გადასარჩენად საქველმოქმედო კონცერტს გამართავს



8 სექტემბერს „იმედის გმირი“ ჯემალ დემურაძე და მის მიერ დაარსებული საქველმოქმედო ფონდი „მადლი“ ხორავას სახელობის მსახიობთა სახლში საქველმოქმედო კონცერტს გამართავს.

საღამო 3 წლის ანი მეხაშიშვილის დასახმარებლად ჩატარდება, რომელსაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები აქვს. ეს იქნება დასკვნითი ღონისძიება, რომელიც ანის დასახმარებლად გაიმართება.

საქველმოქმედო კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ თემურ წიკლაური, ნუგზარ კვაშალი, ვახტანგ ტატიშვილი, ზურა კობეშავიძე, ზურა დოიჯაშვილი, გია ბაღაშვილი, ბესიკ კალანდაძე, ნუგზარ ერგემლიძე, მერაბ სეფაშვილი, გივი სიხარულიძე, ანსამბლი „ლილე“.

კონცერტის გარდა, მოეწყობა გამოფენა-გაყიდვა, საიდანაც შემოსული თანხა პატარა გოგონას მოხმარდება.

საქველმოქმედო კონცერტზე დასწრება ნებისმიერ მსურველს მოსაწვევით შეუძლია, რომელიც მაყურებლისთვის სასურველ ფასად გაიყიდება. ჯემალ დემურაძის განცხადებით, მოსაწვევში ზოგი 10 ლარს იხდის, ზოგი – 30-ს და ზოგიც – 50-ს, ამიტომ მოსაწვევებისთვის ორგანიზატორებს ფიქსირებული საფასური არ დაუდგიათ.

ანუკი მეხაშიშვილის დასახმარებლად ჯემალ დემურაძემ რამდენიმე საქველმოქმედო ღონისძიება უკვე ჩაატარა როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. 8 სექტემბერს გამართული კონცერტი იქნება დასკვნითი ღონისძიება, რომელიც პატარა ანას გამოჯანმრთელებისთვის გაიმართება.

# „ოქროს ბატიბუტი“ საუკეთესოებს დააჯილდოებს




აბაშის კულტურის სახლში პირველი საერთაშორისო საბავშვო-საყმაწვილო კინოფესტივალი „ოქროს ბატიბუტი“ ჩატარდება, სადაც ნაჩვენები იქნება 36 ქვეყნის 180 მოკლემეტრაჟიანი 10 წუთამდე მოცულობის ფილმი.

აბაშის კინოფესტივალს ეწვევა 40-მდე უცხოელი მონაწილე, ბავშვები, ყმაწვილები და მათი პედაგოგები, საქართველოს სხვადასხვა ქალაქის ნორჩი კინემატოგრაფისტები, 10-18 წლის ახალგაზრდები, მუშაობაში ჩაერთვებიან ადგილობრივი მოზარდები, რომლებიც უკვე სამი წელიწადია, აბაშის საზაფხულო საყმაწვილო კინოსკოლაში ეუფლებიან კინოხელოვნებას და ქმნიან კინოპროდუქტს.

კინოფესტივალის პრიზია „ოქროს ბატიბუტი“, რომელიც გადაეცემა შვიდ ნომინაციაში გამარჯვებულ ფილმებსა და ნორჩ კინემატოგრაფისტებს.

კინოფესტივალის საკონკურსო ფილმებს შეაფასებს საერთაშორისო ჟიური, რომლის შემადგენლობაში არიან ჟიურის თავმჯდომარე, კინორეჟისორი და პროდიუსერი გიორგი ოვაშვილი და ჟიურის წევრები, კინორეჟისორი და კინოდრამატურგი იური დაჩევი ბულგარეთიდან და კინოკრიტიკოსი ანა საევიჩი პოლონეთიდან.

სამდღიანი კინოფესტივალის ფარგლებში გაიმართება საბავშვო-საყმაწვილო მუსიკალური კოლექტივების კონცერტები, ქართული საბავშვო მხატვრული ფილმების ჩვენება და სხვადასხვა აქტივობა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# პროგრამა

**პარასკევი 8 სექტემბერი**

**06.00** მუსიკა პირველზე **06.30** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "ჯიმი ნიუტრონი" გენიოსი ბიჭუნა" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**გამარჯვებული ვიქტორია**" **10.00, 03.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.30** ევრობასკეტ- 2017 **13.00, 04.10** დღის მხ/ფ "**მაიმუნის საქმე**" (მ.მონრო) **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. "**ოფისი**" **18.30** "ტელებლოგი" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **20.40** "სპორტის დაფა" (პ/ე) **21.00** ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" **22.00** ტ/სერ. "**მთავრობა**" **23.00** მხ/ფ "**საერთაშორისო აგენტი**" (ნ.უოტსი) **01.00** მხ/ფ "**ტოპაზი**"

**ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ ქთავაზოთ.**

**06.30** სერ. "**ღირსების სახელით**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.30** ქრონიკა **10.10** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **14.40** სერ. "**ელიფი**" **16.00** სერ. "**ოჯახური პორტრეტი**" **17.35** სერ. "**ხაფანგი**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ძმა**" **22.30** სერ. "**ელ პრინსიპე**" **00.00** მხ/ფ "**ნუგეში**" **01.40** მხ/ფ "**სისხლიანი მონანიება**" **03.15** მხ/ფ "**ფიჭვნარს მიღმა**" **05.30** მხ/ფ "**რეგრესია**"

**05.00, 18.45** სერ. "**კაცი**" **06.00, 19.45, 20.03** სერ. "**დესპოტი ქმარი**" **07.00** სერ. "**ინდიანა ჯონსის მემკვიდრეები**" **08.00, 09.10** მხ/ფ **09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** მხ/ფ "**დათა თუთაშხია**" **13.55** სერ. "**ფერიპას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი**" **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **00.00, 01.00, 02.00** მხ/ფ **02.30** კურიერის დაიჯესტი **03.15** მხ/ფ

**08.00** ან/ფ "ვარსკვლავური ომები" **5-6** სერ. **09.00** სერ. "**ცისფერი სისხლი**" **7-8** სერ. **11.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **3-4** სერ. **13.00** სერ. "**ძვლები-5**" **17.00** სერ. "**სიმართლის ანატომია 3**" **6-7** სერ. **19.00** სერ. "**ცისფერი სისხლი**" **9-10** სერ. **21.00** სერ. "**სპირალი**" **5** სერ. **22.30** სერ. "**სამეფო კარის თამაშები 6**" **03.30** მხ/ფ "**დაცემულნი**" **05.50** მხ/ფ "**გახსოვდეს კვირადღე**"

**08.00** ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** დოკ/ფ **09.20** მულტ/სერ. "ლეკვი ჩემს ჯიბეში" **09.50** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის** " **10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.25, 22.35** ტელემარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30, 02.20** ახალი ამბები **11.20** სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" **11.50, 1.30** მოდი გავეყაროთ **12.40** ბენეფისი **14.30** მე რომ ვიყო **15.00** სერ. "**ბანდოლერა**" **18.00, 03.00** ღია სტუდია **20.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " **21.10** მე რომ ვიყო **21.30** რატის ბლოგი **22.00** სინემანი **22.40** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის** " **0.00** მხ/ფ **04.00** სერ. "**რაშ**"

**06.15** კვირიაკე **07.00** ერთხელ ბავშვობაში "მერაბ კოკოჩაშვილი" **07.25** მოკ. მხ/ფ "**საერთო კედელი**" **07.40** საქართველოს (ჩვენი) ქალაქები "ქუთაისი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს. პაუზა **08.40** თბილისის ტაძრები "ანჩისხატის ტაძარი" **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.20** დ/ფ " ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთი" **11.15** მსოფლიო საგანძური "კოლუმბია--სანტოდომინგო კოლუმბიის ქალაქი" **11.30** შარავანდედი "ლევან გოთუა, თედო სახოკია" **12.10** მხ/ფ "**იმერული ესკიზები**" **13.30** ან/ფ "ბარბი მაკნატუნას ქვეყანაში" **15.05** ქართ. ან/ფ "ჩოკინა, ფანტაზია " **15.15** გადაცემა "ოპერა" "მოტაცება სერალიდან" I II; **17.30** დ/ფ "ველური ბუნება -ინგლისი" **18.10** არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვია....... "მარნეული" **18.30** ქვიშანი დარჩებიან **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00 , 00.10** სიახლენი **20.15** მოკ. მხ/ფ "**ბაკურციხელი ხევსური**" **20.40** ძილი ნებისა "ველური გედები" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** დროის ჩანაწერები "ლია სტურუა" **22.10** კვირიაკის სიუჟეტი "გიზო სიხარულიძე" **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "ყოველი სამშვილდე 4- სამღერეთის მონასტერი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გაცოცხლებური წარსული "ხევსურული პოეზია" **00.00** საეკლესიო კალენდარი **01.00** მგზავრები წუთისოფლისა **01.35** დ/ფ "გზა მაცხოვრისა"

მაესტრო **08.00 - 03.00** ახალი ამბები (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.15 - 02.15** სპორტი (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.30- 02.30** ახალი ამბები მსოფლიო (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.00, 10.00, 13.00, 19.00, 23.00, 01.00** ბიზნესი **21.00** მთავარი გამოშვება

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**8 სექტემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4802

ევრო — 2.9579

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2354

100 რუსული რუბლი — 4.3173

## ამინდის პროგნოზი 8 სექტემბრისთვის





## 5 სექტემბრიდან

შიო გვეტაძე

# მონანიება

ქართული დეტექტივი
მე-14 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი





## დელ პოტრომ ფედერერი დაამარცხა



ამერიკის ღია პირველობის მეოთხედფინალში არგენტინელმა ჩოგბურთელმა ხუან მარტინ დელ პოტრომ როჯერ ფედერერი დაამარცხა და შვეიცარიელი ლეგენდა ტურნირს გამოთიშა. შეხვედრა ძალიან დაძაბული გამოდგა. დელ პოტრომ 4 სეტში მოახერხა გამარჯვება და ეს ოთხივე სეტი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა.

ფედერერის თქმით, მან რამდენიმე უპატიებელი შეცდომა დაუშვა და მარცხის მიზეზი სწორედ ეს იყო. ნახევარფინალში დელ პოტრო რაფაელ ნადალს დაუპირისპირდება, რომელთანაც არგენტინელს ძველი ანგარიშები აქვს. შეხვედრა პარასკევს გვიან ღამით გაიმართება.

დელ პოტრომ ფედერერი ამერიკის ღია პირველობაზე 2009 წელსაც დაამარცხა და მაშინ ეს ფინალურ შეხვედრაში მოხდა.

## ხამესმა ტრავმა ბოლომდე მოიშუშა



მიუნხენის ბაიერნის კოლუმბიელმა ფეხბურთელმა ხამეს როდრიგესმა ტრავმა ბოლომდე მოიშუშა და ის მზად არის, თავის გუნდს დაეხმაროს. შემდეგ შეხვედრას ბაიერნი ჰოფენჰაიმის წინააღმდეგ ჩაატარებს და ამ მატჩში ხამესი, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში იქნება.

ხამეს როდრიგესი ბაიერნმა ორწლიანი იჯარით იყიდა და კოლუმბიელ ფეხბურთელზე მიუნხენში დიდ იმედებს ამყარებენ.

ხამესმა რეალში სამი სეზონი ჩაატარა და მას საკმაოდ კარგი სტატისტიკაც ჰქონდა, მაგრამ დიდი კონკურენციის გამო ხამესი ხშირად ვერ ხვდებოდა რეალის ძირითად შემადგენლობაში, ამიტომ მან გუნდის დატოვება გადაწყვიტა.

## რიბერი: „ბაიერნს ფულზე არ გავცვლი“



ბაიერნის ერთ-ერთ ლიდერ ფრანკ რიბერის კარიერის დასრულება მიუნხენურ გუნდში სურს, რადგან ბაიერნში ის ძალიან ბედნიერია. რიბერიმ აღნიშნა, რომ მას ჰქონდა რამდენიმე შემოთავაზება ჩინური გუნდებისგან, მაგრამ მისთვის ფული მთავარი არ არის.

– ჩინური კლუბები უამრავ ფულს მთავაზობდნენ, მაგრამ ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფეხბურთისგან სიამოვნების მიღებაა და არა ფული. ბაიერნში ბედნიერი ვარ და ამას არავითარ ფულზე არ გავცვლი, – განაცხადა რიბერიმ.

ფრანკ რიბერი ბაიერნში 2007 წლიდან თამაშობს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

მარტოხელა დამლაგებელი დაფეხმძიმდა და ბავშვი გააჩინა. ნათესავები ეკითხებიან:

– ვინ არის ბავშვის მამა?

– თქვენ ფიქრობთ, რომ როდესაც კიბეებს ვრეცხავ, სულ უკან ვიყურები?!

●●●

ხმაურით შეწუხებული ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:

– უკვე შუა ღამეა, მუსიკას ხმა ჩაუწიეთ!

– კი მაგრამ, მე ხომ არაფერი მითქვამს თქვენთვის, გუშინ ღამე სექსის დროს რომ ხმაურობდით.

– რა სექსი, გუშინ სახლში არ ვყოფილვარ... ლამარა, მე შენი...

●●●

ავიაკომპანიას პილოტის აყვანა სურს. სამი კანდიდატი აცხადებს პრეტენზიას ერთ ადგილზე, გერმანელი, ინგლისელი და ქართველი.

კომპანიის დირექტორი გერმანელს ეკითხება:

– დიდი ხანია დაფრინავთ?

– სამი წელია.

– ხელფასი რამდენი გსურთ?

– სამი ათასი. ათასი – მე, ათასი – ცოლს, ათასიც – დაზღვევას.

დირექტორი ინგლისელს ეკითხება:

– ფრენის რამდენი წლის გამოცდილება გაქვთ?

– ექვსი.

– ხელფასს რამდენს ითხოვთ?

– ექვსი ათასს. ორი – მე, ორი – ცოლს, ორი – დაზღვევას.

დირექტორი ქართველს ეკითხება:

– ფრენის რამდენი წლის გამოცდილება გაქვთ?

– არც ერთი, ფრენა საერთოდ არ ვიცი, სიმაღლის შიში მაქვს. ხელფასი კი ცხრა ათასი მინდა.

– რააა?!

– სამი ათასი – მე, სამი ათასი – თქვენ...

– დაიცადეთ, კი მაგრამ, ვინ იფრენს?

– როგორ თუ ვინ, გერმანელი. ის ხომ სამი ათასზე თანახმაა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 7 სექტემბრიდან




# რჩეული ქართული ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი


## შვეიცარიულმა კომპანიამ ახალი ტიპის შოკოლადი გამოიგონა

ჩინეთის ქალაქ შანხაიში გამართულ ღონისძიებაზე შვეიცარიულმა შოკოლადის წარმოების გიგანტმა Barry Callebaut-მა წარმოადგინა „ლალის“ შოკოლადი. ამ ინფორმაციას კომპანია პრესრელიზით ავრცელებს.

სიახლე მოწითალო ფერითა და უჩვეულო გემოთი გამოირჩევა. კომპანიაში ამტკიცებენ, რომ შოკოლადი საღებავებს არ შეიცავს და მასში არც რომელიმე ხილის ნაყოფს არ ამატებენ.

პრესრელიზის თანახმად, სიახლეს kakao-bob Ruby-სგან ამზადებენ ტექნოლოგიით, რომელიც ბრემენის იაკობსის უნივერსიტეტისა და კომპანიის საფრანგეთისა და ბელგიის კვლევითი ცენტრების თანამშრომლებმა შეიმუშავეს.



კომპანიაში სიახლეს უწოდებენ პირველი ტიპის შოკოლადს, რომელიც 1940 წლის შემდეგ იქნა გამოგონილი. მაშინ ნესტლემ თეთრი შოკოლადი წარმოადგინა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



## დემბელემ მესისთან ერთად პირველად ივარჯიშა

ბარსელონის ახალწვეულმა უსმან დემბელემ ლიონელ მესისთან ერთად პირველად ივარჯიშა, რადგან მესი ბარსელონაში სანაკრებო თამაშების გამო საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში არ იმყოფებოდა.

დემბელემ ვარჯიშის შემდეგ ჟურნალისტებს უთხრა, რომ ის ძალიან ბედნიერია მესის გაცნობით და იმედი აქვს, მომავალში ერთად ბევრ ტიტულს მოიგებენ.

დემბელე ჯერ მხოლოდ 20 წლის არის, მაგრამ ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელად ითვლება.

დემბელეს ტრანსფერში ბარსელონამ დორტმუნდის ბორუსიას 105 მილიონი ევრო გადაუხადა.

## კროსვორდი




**შვეულად**: 1. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი; 2. ჩარხზე მომუშავე ოსტატი; 3. საჭმლის მომზადების ხელოვნება; 4. წვრილად დაჭრილი, გამხმარი თამბაქოს ფოთლები; 5. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ამერიკული ფირმა; 7. ისტორიული ციხე-სიმაგრე ზუგდიდის მახლობლად; 11. შებოლილი ძეხვის ერთ-ერთი სახეობა; 13. რიგითი მეზღვაური; 15. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური იტალიაში; 16. პროფესიონალი მოსამსახურე, გამრთობი ქალი იაპონურ საჩაიეებში; 18. ტოლგვერდა და ირიბკუთხა პარალელოგრამი; 19. საკონდიტრო ნაწარმი.

**თარაზულად**: 6. ძვირფასი მუქი ყავისფერი ბეწვის მქონე, წავისებრთა ოჯახის მღრღნელი ცხოველი; 8. თაფლისგან მომზადებული მათრობელა სითხე; 9. ბალახზე, ფოთლებზე შეყინული ცვარი; 10. სიტყვის ბოლოსართი; 12. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 14. განუხორციელებელი ოცნება, ფანტაზია; 17. საერთაშორისო კომპიუტერული საინფორმაციო ქსელი; 20. ძვირფასბეწვიან ცხოველებზე მონადირე პროფესიონალი ჩრდილო ამერიკაში; 21. ტერიტორიული ერთეული რუმინეთში; 22. პატარა სასაუზმე საფრანგეთში; 23. ამერიკელი იურისტი, დეტექტიური ჟანრის მწერალი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*